დანართი №1



შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **თამარ გიორგობიანი**

წევრები:

ნანა ნატროშვილი

თათია გივიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **404935273**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა**	**აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**
საექთნო განათლება	80	56	6
ფარმაცია (სააფთიაქო)	40	10	0
საოფისე საქმე	40	0	0

IV. საერთო მიმოხილვა

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) დირექტორის 2022 წლის 10 ოქტომბრის N1258778 ბრძანების საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს (შემადგენლობა: თამარ გიორგობიანი - ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ნანა ნატროშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, თათია გივიშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი), დაევალა კოლეჯ მესამე სამედიცინოში (მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №142), 2022 წლის 19, 20 და 21 ოქტომბერს გეგმიური მონიტორინგის განხორციელება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა“,“გ“,“დ“, "ე“ ქვეპუნქტებისა და "საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, თამარ გიორგობიანმა და ნანა ნატროშვილმა ვიზიტი განახორციელეს 2022 წლის 19, 20 და 21 ოქტომბერს, ხოლო თათია გივიშვილმა - 2022 წლის 21 ოქტომბერს.

ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაეცნო დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, შეაჯერა განსახილველი საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულებისა და პარტნიორი კლინიკების წარმომადგენლებს, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ექსპერტებმა შეისწავლეს ავტორიზაციის სტანდარტებსა და „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა და სხვა. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

მიმდინარე წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის N1484623 კორესპოდენციით ექსპერტებისთვის მოწოდებული იქნა კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო დასკვნის შედგენის პროცესში. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექსპერტების მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებთან მიმართებით, თუმცა, ექსპერტებმა არ გაითვალისწინეს აღნიშნული გარემოება და შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შედგა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მომენტისთვის მოქმედ რეგულაციებსა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია		**შეესაბამება**
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება		**შეესაბამება**
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა		**შეესაბამება**
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები		**შეესაბამება**
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		***მეტწილად შეესაბამება***
4.2) პერსონალის განვითარება		***მეტწილად შეესაბამება***
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		***მეტწილად შეესაბამება***
5.2) საინფორმაციო რესურსები		**შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.3) ფინანსური რესურსები		**შეესაბამება**

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

IV სტანდარტი

4.1 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან:

- ინდიკატორი 4.1.1.2 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, *თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის/კომისიის შექმნას, კომისიის წევრთა შეხვედრებსა და მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას, სამუშაოების განხორციელებას, ცვლილებების პაკეტის მომზადებასა და განხილვას და*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენას, ხოლო აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი. ექსპერტები იზიარებს შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობისშესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას ექსპერტთა ჯგუფი იზიარებენ შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლიან, რომ ამ ვადაში შესაძლებელია კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ რეგულაციების კორექტირება და ძირითადი საქმიანოის წარმართვა;

- **ინდიკატორი 4.1.1.3 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს,** *თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტა ჯგუფს მიეწოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის/კომისიის შექმნას, კომისიის წევრთა შეხვედრებსა და მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას, სამუშაოების განხორციელებას, ცვლილებების პაკეტის მომზადებასა და განხილვას და კოლეჯის დირექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენას, ხოლო აღნიშნული აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი. ექსპერტები იზიარებენ შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლიან, რომ ამ ვადაში შესაძლებელია კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ რეგულაციების კორექტირება და ძირითადი საქმიანოის წარმართვა იმგვარად, რომ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს.*

4.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან:

- **ინდიკატორი 4.2.1.1 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, კოლეჯი არ ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას,** *თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის/კომისიის შექმნას, კომისიის წევრთა შეხვედრებსა და მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას, სამუშაოების განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების პაკეტის მომზადებასა და განხილვასა და წარდგენას კოლეჯის დირექტორისათვის დასამტკიცებლად, დადგენილ ვადებში პერსონალის შეფასებას და შესაბამისი მტკიცებულებებით უზრუნველყოფას. აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლის, რომ ამ ვადაში შესაძლებელია პერსონალის შეფასების პროცედურების განხორციელება.

V სტანდარტი

5.1 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან:

- **ინდიკატორი 5.1.1.4 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით.** *თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფისთვის მოწოდებული იქნა შპს „სერვის გრუპთან“ 2022 წლის 08 ნოემბერს გაფორმებული მიწოდებისა და მომსახურების ხელშეკრულება და ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის ადმინისტრაციის შეკრებას სამომავლო აქტივობების დასაგეგმად, შენობის მესაკუთრესთან შეხვედრებსა და საკითხის დაყენებას, შენობის დათვალიერებას სპეციალისტების მიერ, პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შედგენას, საჭირო მასალების შეძენას, სისტემის დასაყენებელი სამუშაოების ჩატარებას (სასწავლო პროცესის დაწყებამდე და დასრულების შემდგომ საათებში), გათბობის სისტემის დამონტაჟებასა და გამართულად ფუნქციონირების შემოწმებას, სპეციალისტების მიერ დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემის ჩაბარებას კოლეჯის ადმინისტრაციისა და შენობის მესაკუთრეთა მიერ, ხოლო აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 02 დეკემბერი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლის, რომ ამ ვადაში შესაძლებელია დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>არსებული შენობა-ნაგებობის ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება.</u>

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

III სტანდარტი

- **ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები,** *<u>თუმცა, რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიმუშაოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მექანიზმი.</u>*

IV სტანდარტი

- **ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული,** *<u>თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სტრუქტურის დოკუმენტი უნდა იყოს ზოგადი ხასიათის, დაწესებულების სტრუქტურის დოკუმენტში, სახელობითადაა მითითებული შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული პირები, **რეკომენდებულია,** სტრუქტურაში არსებულ პოზიციებს თან არ ერთვოდეს დასაქმებული პირების სახელი და გვარი.</u>*

II სტანდარტი

- **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით,** *თუმცა გარდა -შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ცენტრითან“, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასსა“ და შპს „ ევექსის ჰოსპიტლებთან“ გაფორმებული ვადიანი ხელშეკრულებებისა, „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დროს კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება კლინიკასთან შპს „M მედი 22“, რომელსაც გაუვიდა ხელშეკრულების ვადა, თუმცა, პროგრამის ძირითად დოკუმენტში აღნიშნული კლინიკა კვლავ მითითებულია, **<u>რეკომენდებულია,</u>** <u>დაწესებულებამ პროგრამის ძირითადი დოკუმენტიდან ამოიღოს მითითებული კლინიკა. აღსანიშნავია, რომ დანარჩენი სამი კლინიკა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</u>*

- **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს უდასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია,** *<u>პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯის მიერ ჩატარებულია ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში, აღნიშნული აქტივობა დოკუმენტებით ვერ დასტურდება, შესაბამისად, **<u>რეკომენდებულია,</u>** დაწესებულებამ მომავალში უზრუნველყოს მის მიერ ჩატარებული ტრენინგების ამსახველი აქტივობის მტკიცებულებებით გამყარება.</u>*
- **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში,** *<u>თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების განმარტებით, კონსოლიდირებული ნორმატიული აქტების მიწოდებას სტუდენტებისთვის, მოდულის განმანხორციელებელი მასწავლებელი უზრუნველყოფს, **<u>რეკომედებულია,</u>** კოლეჯმა ხელშეკრულება გააფორმოს საკანონმდებლო მაცნესთან.</u>*
- **ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად,** *თუმცა, <u>მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯში ამ ეტაპზე სსსმ პირი არ ირიცხება და შემუშავებულია სსსმ პირებისათვის ადაპტირებული სასწავლო რესურსების გამოყენების მექანიზმები, **<u>რეკომენდებულია,</u>** დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს აღნიშნული მექანიზმი (მაგ., სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და ა.შ.).</u>*

რეკომენდაციები ტექნიკურ უზუსტობებთან დაკავშირებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი არ მიეკუთვნება აკადემიურ პერსონალს, ხოლო დაწესებულება მარეგულირებელ დოკუმენტებში („შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“) იყენებს ტერმინს „აკადემიური პერსონალი“, **რეკომენდებულია,** კოლეჯმა გაასწოროს ტერმინოლოგია შიდა სამართლებრივ აქტებში;*
- *იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციის პროცესს არ საჭიროებს, **რეკომენდებულია,** დაწესებულებამ შიდა ნორმატიული აქტებში („საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“) გაასწოროს ტერმინოლოგიური უზუსტობები;*
- *„კოლეჯის მარეგულირებელი დებულების“ რამდენიმე მუხლში დაწესებულება მოხსენიებულია როგორც „საზოგადოებრივი კოლეჯი“, შესაბამისად, **რეკომენდებულია,** მარეგულირებელ დოკუმენტებში სწორად აისახოს დაწესებულების სახელწოდება.*

XI. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.1.1.1 შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოს“ არსებობის მრავალწლიანი ისტორია აქვს. თავდაპირველად, 1937 წელს, თბილისში გაიხსნა საფერშლო სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება. წლების განმავლობაში დაწესებულებამ რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბოლოს დამკვიდრდა, როგორც შპს ,,კოლეჯი მესამე სამედიცინო''. დაწესებულების მისიაში გამოკვეთილია დაწესებულების მისწრაფება, აღზარდოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრები, რისთვისაც კოლეჯი უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობას სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

1.1.1.2 შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო დიდი ისტორიისა და გამოცდილების მქონე, ქ. თბილისის საბაზო მესამე სამედიცინო სასწავლებლის ტრადიციების გამგრძელებელია. კოლეჯის მისიის მიხედვით, დაწესებულების საქმიანობა მრავალპროფილურია, თუმცა კოლეჯის წამყვანი მიმართულებაა ჯანდაცვა. შესაბამისად, ირკვევა, რომ დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო თუ მოკლევადიანი პროგრამები, თუმცა დაწესებულება პრიორიტეტს სამედიცინოს სფეროს ანიჭებს. მისია არის გასაგები და მამოტივირებელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან.

1.1.1.3 შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს კოლეჯის ხედვა და ღირებულებები თავსებადია დაწესებულების მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული ამოცანების რეალიზებასთან დაკავშირებულ პრინციპებს. კოლეჯი მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულებაა, თუმცა, მისი წამყვანი მიმართულებაა ჯანდაცვა და 2026 წლისთვის ისწრაფვის, რომ გახდეს ერთ-ერთი წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, რომელთა მიღებული განათლების ხარისხი სრულად უპასუხებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლებითა და თანამშრომლებით, მრავალფეროვანი პარტნიორობით. დაწესებულება თავის მიმდინარე და სამომავლო საქმიანობას ისეთი ღირებულებების დაცვით ახორციელებს, როგორიცაა ჰუმანიზმი, სანდოობა, მაღალი პროფესიონალიზმი და თანასწორუფლებიანობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

1.1.1.4 შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ არეგულირებს კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობას, პროცესსა და ეტაპებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს. მასში ჩართულნი არიან კოლეჯის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და დაწესებულების მიერ განსაზღვრული სხვა დაინტერესებული მხარეები. სტრატეგიული დაგეგმვა იწყება დაწესებულების მისიის განსაზღვრით. მისია წარმოადგენს კოლეჯის ფუნქციონირების საფუძველს. მისიის მომზადება უნდა მოხდეს გუნდური ძალისხმევით. ამ პროცესში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული დაწესებულების ყველა თანამშრომელი, როგორც ხელმძღვანელი რგოლი, ისე სხვა პერსონალი. დაწესებულების ხელმძღვანელობა ამ საკითხზე მომუშავე პირებს კრებს ერთ სივრცეში და უთმობს გონივრულ დროს შემოთავაზებული ვერსიების განხილვასა და ფორმულირებას. დაწესებულების მისია დგება დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის და შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. მისია იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯის საქმიანობა იცვლება რადიკალურად ან თუ ცვლილება გამოწვეულია საკანონმდებლო რეგულაციებთან, სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ხედვა ყალიბდება დროის განსაზღვრული პერიოდისათვის და იცვლება აღნიშნული დროის ამოწურვის შემდეგ ან უფრო ადრე, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე. ღირებულებები არის ის ძირითადი პრინციპები, რომელთა დაცვითაც ახორციელებს კოლეჯი თავის საქმიანობას. დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს: სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება, პროექტების გაზიარება დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრისთვის, დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრისგან მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება, მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ფორმირება, შემუშავებული განაცხადების წარდგენა დირექტორისთვის და გაზიარება დაინტერესებული მხარეების ფართო წრისთვის. მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისათვის, გამოიყენება ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა და სხვა საკომუნიკაციო არხები, ასევე მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება კატალოგში, დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში, მისია განთავსდება კოლეჯის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე. მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებული იქნება პროფესიულ სტუდენტებთან დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება კოლეჯის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ გაზიარების ფაქტი დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიურების შედეგებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეხვედრების ოქმებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით“;
2. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს მისიით, ხედვითა და ღირებულებებით;
3. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;
4. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 06 სექტემბრის N58 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული განვითარების (7 წლიანი) გეგმით (2019 – 2025) წწ.;
5. კოლეჯის 2022 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;
6. კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/გადახედვის მტკიცებულებებით;
7. კოლეჯის ვებგვერდით https://medicalschool-3.edu.ge/

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2.1.1. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ აღწერს სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობას, პროცესსა და ეტაპებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს, დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, დაწესებულების შინაგანაწესის, წესდების, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების საფუძველზე, კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სტრატეგიული დაგეგმვა მიმდინარე, უწყვეტი პროცესია. მასში ჩართულნი არიან კოლეჯის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და დაწესებულების მიერ განსაზღვრული სხვა დაინტერესებული მხარეები. სტრატეგიული დაგეგმვა საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მიაღწიოს საკუთარ მიზნებს და ამოცანებს, შეინარჩუნოს მდგრადობა ცვალებად გარემოში, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება გარე საფრთხეებზე და კონკურენციის ზრდაზე. სტრატეგიული დაგეგმვა იწყება დაწესებულების მისიის განსაზღვრით, მისია წარმოადგენს კოლეჯის ფუნქციონირების საფუძველს. მისიაზე დაყრდნობით კოლეჯი განსაზღვრავს სტრატეგიას, რომლითაც განისაზღვრება პრიორიტეტები და გასატარებელი ღონისძიებები, იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის განხორციელებას თვალყურს ადევნებენ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესის შეფასება ხდება კითხვარების შევსების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტზე დაყრდნობით კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასების, მათში ცვლილებების შეტანის პროცედურებს. მონიტორინგი არის გეგმის შესრულების თვალყურის დევნება და დასახული მიზნების მიღწევაზე მათი გავლენის კუთხით, დაკვირვების შედეგების გაანალიზება/შეფასება. მონიტორინგი ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორცილების სხვადასხვა ეტაპზე შემოწმებას, რამდენად სწორად მიმდინარეობს დაგეგმილი აქტივობები. შეფასების დროს გამოიკვეთება, რამდენად მიაღწია კოლეჯმა დასახულ მიზნებს, ამოცანებსა და შედეგებს. შეფასება მონიტორინგთან შედარებით უფრო სიღრმისეულია და სულ რამდენჯერმე, უმეტესად სამოქმედო გეგმის მიხედვით ერთი წლის განმავლობაში გაწერილი აქტივობებების დასრულების შემდეგ ხორციელდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

1.2.1.2 კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასაწყისში სამუშაო ჯგუფი განიხილავს ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე არსებულ სტრატეგიებს, მათ შორის, დარგობრივ სტრატეგიებსაც. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას მხედველობაში მიიღება შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები, საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს საკანონმდებლო და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და სხვ. დაწესებულებისათვის შეუძლებელი იქნება სტრატეგიული ან სამოქმედო გეგმების სწორად მომზადება, მიზნების, მათგან გამომდინარე ამოცანების და აქტივობების სწორად დაგეგმვა, თუკი ჯერ არ დადგინდება, რა ფაქტორები ახდენენ დაწესებულების საქმიანობაზე გავლენას და რა ვითარებაში მოუწევს მას დაგეგმილის იმპლემენტაცია. არსებული ვითარების ანალიზის საწყის ეტაპზე, დაწესებულება ეცნობა მისი საქმიანობის სფეროში ძირითად რაოდენობრივ და თვისობრივ ინფორმაციას. ამაში მოიაზრება კოლეჯში უკანასკნელ პერიოდში მომზადებული ანგარიშები, სტუდენტების კმაყოფილების დონის შესაფასებლად გაკეთებული კითხვარების შედეგები, SWOT ანალიზი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფორმულირებას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება ინფორმაციის შეგროვებით. ინფორმაციის მიღება ხდება კოლეჯის შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისგან. ამ პროცესში მნიშვნელოვანია კოლეჯის მიერ შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების/ჩატარებული კვლევების ანალიზიც.
დოკუმენტის სტრატეგიული დაგეგმვა ძირითადად დამოკიდებულია შემდეგი ოთხი პრობლემის გადაჭრაზე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სად არის კოლეჯი ახლა?
- სად სურს ყოფნა კოლეჯს მომავალში?
- როგორ შეიძლება მივიდეს კოლეჯი სასურველ შედეგამდე?
- როგორ შეუძლია კოლეჯს მიღწეული პროგრესის გაზომვა?

ხარისხიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის მიზანშეწონილია წინასწარ განისაზღვროს გეგმის შემუშავებაში მონაწილეთა ვინაობა, აგრეთვე მოხდეს მათ შორის ფუნქციების განაწილება და შესასრულებელი სამუშაოს ვადების განსაზღვრა, რაც გაწერილი უნდა იყოს შვიდწლიან სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში. მონაწილე პირთა ვინაობას განსაზღვრავს დირექტორი ბრძანებით. დაინტერესებულ მხარეებში შედინ სამუშაო ჯგუფის წევრები და სხვა დაინტერესებული პირები. დაგეგმვის პროცესის დასაწყისში უნდა შედგეს შეხვედრა დაწესებულების ადმინისტრაციას, პერსონალს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის. *აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ცალკეულ მარეგულირებელ დოკუმენტებში სარგებლობს ტერმინით „აკადემიური პერსონალი“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი არ მიეკუთვნება აკადემიურ პერსონალს.*
სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს და ბრძანებით ამტკიცებს მას. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებით განისაზღვრება: სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი, სამუშაო ჯგუფის წევრები, ჯგუფის უფლებამოსილების ვადა. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შეიძლება განახლდეს პერიოდულად არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ვინ ხელმძღვანელობს ჯგუფს, ვინ აოქმებს სხდომებს; ვინ არიან სამუშაო ჯგუფის წევრები; როდის არის ჯგუფი უფლებამოსილი რომ განახორციელოს სამუშაო, როგორ მიიღება გადაწყვეტილებები (ხმათა უბრალო უმრავლსეობით, 2/3-ით და ა.შ., როგორ ტარდება სხდომები (პირდაპირი შეხვედრები თუ დისტანციურად). საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის სხდომებში მონაწილეობის მიღების მიზნით, შესაძლებელია, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის/სხდომის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა.
ვიზიტის პერიოდში, კოლეჯის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს სტრატეგიული დაგეგმარების ამსახველი დოკუმენტაცია. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა მათი ჩართულობა სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში კოლეჯში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

1.2.1.3 კოლეჯის „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა კალენდარულ წელს ან სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითად პუნქტებს: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა (საჭიროების შემთხვევაში - ქვეაქტივობაც), განხორციელების ვადა თვეების ჭრილში, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, შემსრულებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, სხვა ჩართული მხარეები გარდა კოლეჯისა, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები და ამოცანების/აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსები. სამოქმედო გეგმაში ცვლილებები დასაშვებია. სამოქმედო გეგმა შეიძლება შეიცვალოს გეგმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების, მისიაში/ხედვაში/სტრატეგიულ გეგმებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების შედეგად და სხვ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების დირექტორის მიერ 2022-2023 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2022 წლის პირველ სექტემბერს, რაც ნიშნავს, რომ კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სასწავლო წელს უნდა ემთხვეოდეს, თუმცა, გეგმის მიხედვით, განცორციელების ვადების ათვლა კალენდარული წლის პირველი თვიდან იწყება. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს, დადგინდა, რომ კოლეჯი ერთწლიანი სამოქმედო გეგმას სასწავლო წელს ამთხვევს, შესაბამისად, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, გაესწორებინა აღნიშნული უზუსტობა, რაც კოლეჯმა ვიზიტის დასრულებამდე გაითვალისწინა.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით“;
2. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;
3. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 06 სექტემბრის N58 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული განვითარების (7 წლიანი) გეგმით (2019 – 2025) წწ.;
4. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის N26 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „2022-23 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით“;
5. კოლეჯის ვებგვერდით https://medicalschool-3.edu.ge/

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2.2.1 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს. მონიტორინგი არის გეგმის შესრულების თვალყურის დევნება და დასახული მიზნების მიღწევაზე მათი გავლენის კუთხით, დაკვირვების შედეგების გაანალიზება/შეფასება. მონიტორინგის წყალობით შესაძლებელია ხელშემშლელ გარემოებებზე ან გეგმის შესრულების შეფერხების დროს რეაგირება არსებითი ზიანის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგომამდე. მონიტორინგი, დაწესებულებას ეხმარება თანამშრომლებს შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით, ინდივიდუალური უკუკავშირი მიაწოდოს.

მონოტორინგის და შეფასების პროცესი პირობითად ერთმანეთან დაკავშირებულ სამ ეტაპად განიხილება, კერძოდ:

I-მონაცემთა შეგროვება - მონაცემთა შეგროვების სტადიაზე, შემფასებელი /მონიტორინგის განმახორციელებელი პირი აგროვებს იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია გეგმაში კონკრეტული ამოცანის/აქტივობის შესრულების ინდიკატორის გრაფაში.

II-შეგროვებული მონაცემების ანალიზი - ამ ეტაპზე ხდება პირველ ეტაპზე შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში.

III-მიღებულ შედეგებზე რეაგირების მოხდენა - რადგან ჩვენი მიზანი გეგმაში დასახული მიზნების მიღწევაა, პრობლემების გამოვლენისას აუცილებელი ხდება გეგმის ამოცანების, აქტივობების, შესრულების ვადების, რესურსების ან პასუხისმგებელი პირის გრაფაში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად რომელ გრაფაში იქნება საჭირო ცვლილება, ჩამოთვლილთაგან, დამოკიდებულია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სტრატეგიული დოკუმენტის მონიტორინგისა და შეფასების ახორციელებს კოლეჯის ხარისხის უზრუნვლეყოფის მენეჯერი პირადად ან სამუშაო ჯგუფთან ერთად, იგი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებებისშესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებას, გაანალიზებას და შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენას დირექტორის წინაშე. ამ მიზნით ხდება თითოეული პასუხისმგებელი პირის მიერ ანგარიშის და მტკიცებულებების წარდგენა შესრულებული სამუშაოების შესახებ. თითოეულ აქტივობას, შესრულების დონის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, ან „არ შესრულდა“. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი, მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს/სამუშაო ჯგუფს. ხარისხის უზრუნვლეყოფის მენეჯერი არსებული ინფორმაციის საფუძველზე 3-4 წელიწადში ერთხელ დირექტორს წარუდგენს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და წელიწადში ორჯერ (ექვს თვეში ერთხელ) შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც.

აღსანიშნავია, რომ 2022-2023 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის თანახმად, გარკვეული ამოცანებისა და აქტივობის შემსრულებლად განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შესაბამისად, იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირი სამოქმედო გეგის შემსრულებელი პირიცაა და მონიტორინგისა და შეფასების განმახორციელებელიც (აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით, დეტალური აღწერა იხილეთ 4.1.1.3 ინდიკატორის ფარგლებში).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

1.2.2.2 მონიტორინგი და შეფასება მოიცავს უკუკავშირის ეტაპს, რაც იმას ნიშნავს, რომ: ანგარიშის საფუძველზე უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები დაშვებული ხარვეზების გამოსასწორებლად, საჭიროებისამებრ მოხდეს სტრატეგიული გეგმის კორექტირება, ახალი წლის სამოქმედო გეგმაში ან/და სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს რეკომენდაციები. სტრატეგიული გეგმის შესრულების საბოლოო შეფასების ეტაპი დგება მაშინ, როდესაც გეგმა დასასრულს უახლოვდება და იწყება ახალი გეგმის შედგენა. ამ დროს ფოკუსირება არ ხდება გეგმის სპეციფიურ ნაწილებზე, არამედ აქცენტი კეთდება იმაზე, როგორ შეიძლება დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესება. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, კოლეჯში, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. ამ მიზნით, დირექტორს წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ხედვა, სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების საჭიროების შესახებ და შესაბამისი ცვლილების პროექტი.
სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებული პირების ვიწრო წრესთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით და წარედგინება დირექტორს.
წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.
კოლეჯი უზრუნველყოფს ამ დებულებით გაწერილი პროცესების განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებების ფორმირებას და შენახვას. ანგარიში განთავსდება კოლეჯის ვებგვერდზე. ანგარიშის გაზიარებისათვის ასევე გამოიყენება საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, დოკუმენტაციის ელექტრონული ბრუნვის სისტემა და სხვა, საჭიროების მიხედვით.
კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების, განხილვისა და შედეგების გათვალისწინების პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას, გარდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამისა, წარმოდგენილ იქნა მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტაცია. ვებგვერდზე განთავსებულია წლიური გეგმების შესულების ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

1.2.2.3 დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია წლიური გეგმების შესულების/მინიტორინგის სხვადასხვა წლების ანგარიშები სადაც ჩანს გეგმის შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ეწვიოს დაწესებულების ვებ-გვერდს და გაეცნოს სამოქმედო გეგმების ანგარიშებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით“;
2. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;
3. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 06 სექტემბრის N58 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული განვითარების (7 წლიანი) გეგმით (2019 – 2025) წწ.;
4. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის N26 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „2022-23 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით“;
5. კოლეჯის ანგარიშებით;
6. კოლეჯის ვებგვერდით https://medicalschool-3.edu.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.1.1.1 შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს კოლეჯში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, მობილობა, მიღებული განათლების აღიარება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების მექანიზმები. სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით, მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებაში, გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება, შეფასების პროცედურის დარღვევა, ისარგებლოს მობილობის უფლებით და სხვა. *<u>აღსანიშნავია, რომ კოლეჯს არ აქვს განსაზღვრული საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები.</u>*

მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. დამატებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, ან არ გამოცხადების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის დაშვების წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასებისა პროგრამის დასრულებამდე.

პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, უფლება აქვს შედეგის გამოქვეყნებიდან ერთი დღის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს მიღებული შეფასების გადასინჯვის მიზნით.

შედეგების გასაჩივრებიდან მაქსიმუმ 2 დღის ვადაში იქმნება საპრეტენზიო კომისია, რომლის თავმჯდომარეა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ხოლო წევრები - შესაბამისი მიმართულების არანაკლებ 2 სპეციალისტი *<u>(აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით, დეტალური აღწერა იხილეთ 4.1.1.3 ინდიკატორის ფარგლებში).</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დებულებაში“, გარდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების ფარგლებში არსებული სტუდენტის მიღწევების შეფასებისა, გაწერილია საგნობრივი პროგრამების ფარგლებში პროფესიული სტუდენტის შეფასების სპეციფიკა, ვინაიდან, დაწესებულება საგნობრივ პროგრამებს არ ახორციელებს, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია დოკუმენტიდან საგნობრივი პრგორამების შესახებ მექანიზმების ამოღების შესახებ, რაც დაწესებულებამ კოლეჯში ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, *თუმცა, **რეკომენდებულია,** კოლეჯმა შეიმუშაოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მექანიზმი.*

3.1.1.2 კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ (კონსულტირების, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების შესაძლებლობა, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა, მობილობა, არაფორმალური განათლების აღიარების წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა/დატვირთვა, კარიერული სერვისები, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერადა სხვა).

კოლეჯის პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას პრაქტიკის ობიექტზე სწავლების, ქცევისა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის პერიოდში შეხვდა პროფესიულ სტუდენტებს. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ მათ უფლებებსა და ინტერესების დაცვის მექანიზმებს. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ კოლეჯის წარმომადგენლები თავისი კომპეტენციის ფარგლებში პერიოდულად ახორციელებენ მათ ინფორმირებას უფლება-მოვალეობისა და სერვისების შესახებ, ამასთან კოლეჯი ახორციელებს მათი კმაყოფილების კვლევას და ახდენს მათი სურვილებისა და რჩევების გათვალისწინებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3.1.1.3 შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურებს. პროფესიული სტუდენტისათვის კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: „შედეგი დადასტურდა“ და „შედეგი ვერ დადასტურდა“, გარდა ამისა, ზოგიერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კრედიტების ათვისებასთან ერთად, ითვალისწინებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების, ან არ გამოცხადების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება არაუგვიანეს 8 დღისა, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების, ან არ გამოცხადების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულიზე დაშვების წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასებისა პროგრამის დასრულებამდე. სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღბული შეფასება. შეფასების შედეგის გამოქვეყნებიდან ერთი დღის ვადაში.
შეფასების პროცესის სწორ განხორციელებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება სასწავლო პროცესის მენეჯერს, ხოლო პროფესიული სტუდენტებისათვის მიღწევების შეფასების წესისა და მოდულის გაცნობა წარმოადგენს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის პასუხისმგებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება შიდა რეგულაციებში გაწერილი მექანიზმების შესაბამისად ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების პროცედურებსა და შეფასების შედეგების გასაჩივრების შესახებ. ისინი იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მიდგომებსა და პროცედურებს, ინფორმირებულნი არიან შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების თაობაზე, თუმცა მათი თქმით, ამ უფლებით სარგებლობის აუცილებლობა არ დამდგარა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

3.1.1.4 დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლითაც რეგულირდება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის ურთიერთობები. ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს: კოლეჯი ვალდებულია მისცეს, ხოლო სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, რაც ამასთანავე კოლეჯის მხრიდან სტუდენტისთვის უსაფრთხო და სათანადო მატერიალური რესურსებით სასწავლო გარემოს შექმნასა და აღჭურვას გულისხმობს. სტუდენტი თავის მხრივ, ვალდებულია, დაიცვას კოლეჯის რეგულაციებით გათვალისწინებული ნორმები. პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს, რომ კოლეჯს აძლევს უფლებას, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კოლეჯში განსაზღვრულია არასრულწლოვან სტუდენტებთან თანამშრომლობის საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები, შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებს.

კოლეჯის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების საქმეები შეიცავს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების პირადობის მოწმობებისა და დაბადების მოწმობების ასლებს. არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

3.1.1.5 კოლეჯში ფუნქციონირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება შესაძლოა სხვადასხვა შემთხვევაში დადგეს:

ა) სსსმ და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს სწავლის შედეგებს;

ბ)მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან;

გ)პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

დ) პირი, რომელიც დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

ე) პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების საჭიროება არ დამდგარა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;
2. კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;
3. პროფესიული სტუდენტის გზამკვლევით;
4. კოლეჯის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.2.1.1 სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტების კონსულტირებას და ინფორმირებას არსებული მომსახურების და დახმარების შესახებ. კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია სტუდენტის გზამკვლევი, რომელშიც გაწერილია ინფორმაცია აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული დამატებითი კონსულტირების შესაძლებლობის შესახებ, შეფასების წესის სწორ განხორციელებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება სასწავლო პროცესის მენეჯერს, ხოლო პროფესიული სტუდენტებისათვის მიღწევების შეფასების წესისა და მოდულის გაცნობა წარმოადგენს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის პასუხისმგებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

3.2.1.2 დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ნებისმიერ ეტაპზე, პროფესიული სტუდენტის საჭროებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებსა და დასაქმებასა და კარიერულ წინსვლასთან მიმართებით, კონსულტირებას სტუდენტს უწევს სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკასთან დაკავშირებით, სტუდენტის ადაპტირებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი, პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისა და პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებულ საკითხებზე, ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტს აწვდის კოლეჯის პრაქტიკის მენეჯერი და კლინიკური პრაქტიკის ინსტრუქტორი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინტერვიურებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრებს აორგანიზებს როგორც ახლადჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე უკვე მოქმედ და წინა პერიოდში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან. კოლეჯის წარმომადგენლები პროფესიულ სტუდენტებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აცნობენ „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დებულებას“, უსაფრთხოების ნორმებს, როგორც კოლეჯში არსებული სასწავლო გარემოსათვის, ისე პრაქტიკის ობიექტზე.

სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.1.3 დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტუდენტების ადმინისტრაციული მხარდაჭერის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა მობილობა, განმეორებითი შეფასება, შეფასების შედეგების გასაჩივრება და ა.შ.), მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების, შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და სხვა სერვისების გონივრული ვადები. აღსანიშნავია, რომ კოლეჯს მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი არ ჰქონდა დაოკუმენტების (ცნობა, სერტიფიკატი და სხვა) გაცემის ვადები, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია კოლეჯმა ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა.
კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში საკმაოდ ღია და თბილი გარემოა. პროფესიული სტუდენტების მიერ დადასტურდა, რომ კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს მყისიერად უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

3.2.1.4 კოლეჯი ხელს უწყობს სტუდენტებს სასწავლო გეგმის გარეშე აქტივობების განხორციელებაში, კოლეჯის ტერიტორიაზე (ფოიეში) გამოყოფილია სივრცე სტუდენტების შემოქმედებითი/ შემეცნებითი აქტივობებისათვის, პროფესიული სტუდენტებისთვის დადებითი სასწავლო გარემოს შექმნაში ჩართულია კოლეჯის ყველა თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისათვის გამოიყენება სატელეფონო კავშირი, ელ. ფოსტა, ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი, კოლეჯის შენობის ღია სივრცე, სადაც გამოიკვრება შესაბამისი ინფორმაცია. ინფორმაციის მიწოდება პირდაპირი კომუნიკაციის გზით ხდება აუდიტორიებში ან/და შეხვედრის ორგანიზებით, შეხვედრის ფარგლებში.
პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პანდემიის პერიოდში სტუდენტებს არ ჰქონიათ რაიმე ტიპის ინიციატივა, რადგან საამისო განწყობა არ იყო ზოგადად ქვეყანაში, თუმცა სამომავლოდ გეგმავენ კონკრეტული წინადადებების შეთავაზებას კოლეჯისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება პანდემიამდე პერიოდში სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებდა, კოლეჯში იდგა სპეციალური ყუთი, სადაც სტუდენტები თავის მოსაზრებებს, შენიშვნებსა და სურვილებს აფიქსირებდნენ, რაზეც კოლეჯი სათანადოდ რეაგირებდა. პანდემიის დროს სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის გამო, ბუნებრივია, ეს აქტივობა შეჩერდა, თუმცა დაწესებულება კვლავ გეგმავს ამ აქტივობის აღდგენას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საკუთარი და მოზიდული რესურსით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

3.2.1.5 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი გულისხმობს კოლეჯში მიმდინარე პროცესებისა და საქმიანობის შეფასებას, მიღებულ შედეგებზე რეაგირებას და ამ შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვას. მიზნების მისაღწევად, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შედეგების შეფასების სისტემის მუდმივ განვითარებას, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და რეკომენდაციების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, ამ პროცესში ყველა დაინტერესებული შიდა და გარე მხარის ჩართულობას (პროფესიული სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებელი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ). პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, სასწავლო პროცესის, სერვისებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა მიმართულებით ტარდება კმაყოფილების კვლევები. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი აანალიზებს ჩატარებული შეფასებების/კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება კოლეჯის ხელმძღვანელობას, მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა წარმოადგინა ჩატარებული კვლევების ანგარიშები, სადაც გაანალიზებულია კვლევის შედეგები და შემუშავებულია რეკომენდაციები შემდგომი რეაგირების მიზნით, რაც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 2019 წლის 21 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;
2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ინსტრუქციით“;
3. პროფესიული სტუდენტის გზამკვლევით;
4. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის კვლევის ანგარიშებით;
5. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.2.2.1 კოლეჯი ეხმარება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის და პროფორიენტაციის მიზნით, ღონისძიებები შეიძლება მოეწყოს კოლეჯის გარეთაც. შესაბამისი ღონისძიების წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი ორგანიზებას უკეთებს განხორციელებული/განსახორციელებელი აქტივობების შესახებ ინფორმაციას განთავსებას ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში. კარიერული მხარდაჭერისა და პროფორიენტაციის ღონისძიებების განხორციელებასა და მართვას უზრუნველყოფს პრაქტიკის მენეჯერი, აღნიშნულ აქტივობაში აქტიურადაა ჩართული კოლეჯის დირექტორიც. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირს კოლეჯი აწვდის ამომწურავ ინფორმაციას პროგრამის ხანგრძლივობის, მოცულობის, სასწავლო დატვირთვის შესახებ. ასევე არჩეული პროფესიის სპეციფიკისა და კარიერული შესაძლებლობების შესახებ, სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის მიზნით კოლეჯი თანამშრომლობს დამსაქმებლებთან.
ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პრაქტიკის მენეჯერმა აღწერა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, ისაუბრა სწორი პროფორიენტაციის მნიშვნელობაზე, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ღონისძიებების თავისებურებებზე, კოლეჯის მიდგომებსა და მის მიერ განხორციელებულ აქტივობებზე.
აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე შეფასებულ იქნა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს კოლეჯის მიერ პერმანენტულად ვაკანსიების შეთავაზების ფაქტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

3.2.2.2 პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯის წარმომადგენლები სისტემატურად ახდენენ შეხვედრებს, ახდენენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას. კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისთვის შექმნილია facebook ჯგუფი, სადაც რეგულარულად იდება ვაკანსიები და სიახლეები დასაქმებასთან დაკავშირებით. კოლეჯის ხელშეწყობით სტუდენტები და კურსდამთავრებულები მონაწილეობას იღებენ დასაქმების ფორუმებსა და სხვა ღონისძიებებში. კოლეჯმა 2022 წლის ივლისში მონაწილეობა მიიღო კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით გამართულ დასაქმების ფორუმში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3.2.2.3 კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის N15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგიის“ თანახმად, კოლეჯი კვლევას ატარებს ელექტრონულად, რომლის უმთავრესი მიზანია სამიზნე ჯგუფის კმაყოფილების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, სასწავლო პროცესის, სერვისებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ტარდება პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევა დასაქმებასთან დაკავშირებით. კურსდამთავრებულთა და პროფესიული სტუდენტების დასაქმების კვლევის კითხვარი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კოლეჯის როლი პროფესიული ცოდნისა და უნარების შეძენასა და დასაქმებაში და სხვა.
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა ვიზიტის პერიოდში წარმოადგენა პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

3.2.2.4 კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კოლეჯში სხვადასხვა მიმართულებით კვლევების დაგეგმვა/განხორციელება/შედეგების ანალიზი. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. ატარებს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას. აღნიშნული გზით კოლეჯი ეცნობა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, იღებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან.
აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კოლეჯის წარმომადგენლებსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ინტერვიურებითა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი კვლევების ანგარიშების გაცნობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დასტურდება

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის N15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგიით“;
2. კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის კვლევების ანგარიშებით;
3. კოლეჯის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.1.1.1 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების სტრუქტურა, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

1. დირექტორი;
2. დირექტორის მოადგილე;
3. ბუღალტერი;
4. IT მენეჯერი;
5. ბიბლიოთეკარი;
6. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
7. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;
8. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
9. ოფისისი მენეჯერი;
10. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
11. ექთანი;
12. პრაქტიკის მენეჯერი;
13. დამლაგებელი;
14. კომენდანტი;
15 პროგრამის ხელმძღვანელი

სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება მკაფიოდ ასახავს კოლეჯში დასაქმებულ პირთა რანგირებას. *<u>აღსანიშნავია, რომ სტრუქტურის დოკუმენტში, სახელობითადაა მითითებული შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული პირი.</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების დებულება“, რომლის თანახმად, კოლეჯი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, დაწესებულების წესდების, შრომის შინაგანაწესის, წინამდებარე დებულებისა და კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. დებულებაში აღწერილია კოლეჯში დასაქმებული პირების/არსებული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები/სამუშაო აღწერილობა და უფლებამოსილება, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა თითოეული თანამდებობისათვის.
დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, დაწესებულებას შეიძლება ჰყავდეს მომსახურების ხელშეკრულებით დაქირავებული სხვა თანამშრომლებიც, პროფესიული განათლების განმახორციელებელი პირები/პროფესიული განათლების მასწავლებლები, ექსპერტები და სხვა საჭირო პირები.
დირექტორს შეუძლია ბრძანებით შექმნას ახალი სტრუქტურული ერთეულები, განახორციელოს არსებულის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, კონტრაქტით მოიწვიოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტები/ექსპერტები.
<u>უნდა აღინიშნოს, რომ მარეგულირებელი დებულების რამდენიმე მუხლში დაწესებულება მოხსენიებულია როგორც „საზოგადოებრივი კოლეჯი“.</u>
კოლეჯის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, *<u>თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სტრუქტურის დოკუმენტი უნდა იყოს ზოგადი ხასიათის, დაწესებულების სტრუქტურის დოკუმენტში, სახელობითადაა მითითებული შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული პირები, **რეკომენდებულია,** სტრუქტურაში არსებულ პოზიციებს თან არ ერთვოდეს დასაქმებული პირების სახელი და გვარი.</u>*

4.1.1.2 კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ თანახმად, დირექტორი არის კოლეჯის ხელმძღვანელი და მართავს კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულს, დირექტორს ნიშნავს პარტნიორთა კრება. დირექტორი უძღვება კოლეჯის საქმიანობას, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის პერსონალს, აფორმებს ხელშეკრულებას პროფესიულ სტუდენტებთან/მათ წარმომადგენლებთან და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის მოადგილე კოორდინაციას უწევს კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს, პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე, აუდიტორიების, სასწავლო გარემოს, პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახის, სასწავლო-ბაზების და სხვა ობიექტების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე, სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის საკითხების მოგვარებაზე, ხელმძღვანელობს ინვენტარზაციის კომისიის მუშაობას, კოლეჯის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს მის უფლება-მოვალეობებს. დირექტორის მოადგილე ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პასუხისმგებელია კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხსა და საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ დინამიურ განვითარებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე კოლეჯის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური კოორდინაციის მეშვეობით, შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს, წინადადებებსა და რეკომენდაციებს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების შესახებ და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად, განსაზღვრავს და ადგენს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებით წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას, ეცნობა ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ანგარიშებს, დირექტორის მიერ განსაზღვრულ ვადაში ამზადებს ანგარიშების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესადგენად, ახორციელებს შეფასების პროცედურის ვერიფიკაციას და სხვა.

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციებია კოლეჯის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების დაკომპლექტების, დატვირთვის განსაზღვრის, პროფესიულ სტუდენტთა მობილობის რეგულაციაში, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დაგეგმვისთვის, ამზადებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის ანალიზს (საჭიროების შემთხვევაში სხვა თანამშრომლებთან ერთად), კოორდინირებას უწევს პროგრამების შემუშავების ჯგუფის მუშაობას, მოდულურ პროგრამასთან მიმართებაში დირექტორის სახელზე წარადგენს მოხსენებითი ბარათს, პროფესიული პროგრამ(ებ)ის შემუშავების/დანერგვის საჭიროების/დამტკიცების შესახებ და სხვა. აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია ვერ იქნება ისეთი მოვალეობის შესრულება მაგალითად, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა, პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენა, ან მობილობის პროცესში მონაწილეობა, რადგან ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მთავარი მოვალეობა ორგანიზაციაში მიმდინარე შიდა პროცესების მონიტორინგი და შეფასებაა, თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფს მიეწოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის/კომისიის შექმნას, კომისიის წევრთა შეხვედრებსა და მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას, სამუშაოების განხორციელებას, ცვლილებების პაკეტის მომზადებასა და განხილვას და კოლეჯის დირექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენას. აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, *თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფისთვის მოწოდებული იქნა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, ხოლო აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი, ექსპერტები იზიარებენ შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლიან, რომ ამ ვადაში შესაძლებელია კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ რეგულაციების კორექტირება და ძირითადი საქმიანობის წარმართვა.*

4.1.1.3 კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებაში“ გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პასუხისმგებელია კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხსა და საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ დინამიურ განვითარებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე კოლეჯის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური კოორდინაციის მეშვეობით, შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს, წინადადებებსა და რეკომენდაციებს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების შესახებ და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად, განსაზღვრავს და ადგენს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებით წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას, ეცნობა ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ანგარიშებს, დირექტორის მიერ განსაზღვრულ ვადაში ამზადებს ანგარიშების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესადგენად, ახორციელებს შეფასების პროცესის ვერიფიკაციას და სხვა, თუმცა დებულება მოიცავს აგრეთვე კოლეჯის საქმიანობასთან დაკავშირებულ ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა მობილობა, მიღებული განათლების აღიარება, პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარღვევის და შედეგების გასაჩივრების წესი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები და სხვა. *ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჩართულია მობილობის პროცესში: იგი ვალდებულია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან, ასევე ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების/სწავლის შედეგების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მონაწილეობს აგრეთვე შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებულ გასაჩივრებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესებში.*

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს. სტრატეგიული დოკუმენტის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის უზრუნვლეყოფის მენეჯერი. იგი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებას, გაანალიზებას და შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენას დირექტორის წინაშე. *აღსანიშნავია, რომ 2022-2023 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის თანახმად, გარკვეული ამოცანებისა და აქტივობის შემსრულებლად განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შესაბამისად, იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი სამოქმედო გეგის შემსრულებელი პირიცაა და მონიტორინგისა და შეფასების განმახორციელებელიც.*

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკენბრის N67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული არიან დაინტერესებული მხარეები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც კვლევის ანალიზის საფუძველზე კოლეჯის დირექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, სადაც დასაბუთებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავების/დანერგვის საჭიროება. შესაბასმისად, კოლეჯის დირექტორი ქმნის პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფს, რომლის ერთ-ერთ წევრად ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერია განსაზღვრული.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას არ აქვს სათანადოდ გააზრებული ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია და როლი დაწესებულების საქმიანობის განხორციელების პროცესში, რაც გამოიხატება მისი ფუნქციების აღრევაში: იგი ერთი მხრივ, მონაწილეობს პროცესებში, მეორე მხრივ, აფასებს მისსავე შესრულებულ საქმეს, *თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის/კომისიის შექმნას, კომისიის წევრთა შეხვედრებსა და მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას, სამუშაოების განხორციელებას, ცვლილებების პაკეტის მომზადებასა და განხილვას და კოლეჯის დირექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენას. აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 მეტწილად არის დაკმაყოფილებული, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, *თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფისთვის მოწოდებული იქნა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, ხოლო აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი, ექსპერტები იზიარებენ შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლიან, რომ ამ ვადაში შესაძლებელია კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ რეგულაციების კორექტირება და ძირითადი საქმიანობის წარმართვა ისე, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით“;
3. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის N26 ბრძანებით დამტკიცებული „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „2022-23 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით“;
4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულია „სტრუქტურით“;
5. კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.1.2.1 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 თებერვლის N7 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის „შინაგანაწესი“, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შპს - კოლეჯი მესამე სამედიცინოს თანამშრომლებს შორის. ამ შრომის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომლების უფლება-მოვალეობები, სამსახურებრივი ქცევის სტანდარტები, სამსახურში მიღებისა და განთავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესები, აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც ექვემდებარება შრომის შინაგანაწესით რეგულირებას. შრომის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა შპს - კოლეჯი მესამე სამედიცინოს ყველა თანამშრომლისათვის. დოკუმენტი გამოკრულია დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას, ატვირთულია დაწესებულების ოფიციალურ ვებ -გვერდზე, შრომის შინაგანაწესი უნდა გაეცნოს ყველა პირს ვისთანაც ფორმდება შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები. გაცნობა უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილმა პირმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესეულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

4.1.2.2 შრომის შინაგანაწესის თანახმად, თანამშრომლად შეიძლება მიღებულ იქნეს ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება და მიაღწია 18 წლის ასაკს, თანამშრომლად მოიაზრება ყველა ის პირი, რომელიც დაწესებულებასთან დაკავშირებულია შრომის ან მომსახურების ხელშეკრულებით. თანამშრომლისადმი წაყენებული დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შპს - კოლეჯი მესამე სამედიცინოს დირექტორის მიერ. შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არაუმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით, გამოსაცდელი ვადით მუშაობა ანაზღაურებადია. მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა განსაზღვრული ვადების განმავლობაში, შეიძლება გახდეს პირის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველი. ყველა თანამშრომელი უნდა იცნობდეს და აღიარებდეს ორგანიზაციის შრომის შინაგანაწესს, მარგულირებელ დებულებას და იმ პოზიციის სამუშაო აღწერილობას, რომელზეც ის მუშაობს.

ვაკანტურ პოზიციაზე თანამშრომლი მიიღება ღია კონკურსის საფუძველზე ან კონკურს გარეშე, თანამშრომელთა შერჩევისას წინასწარ განისაზღვრება კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც მტკიცდება დირექტორის მიერ. მოთხოვნებს ადგენს თავად დირექტორი ან დირექტორის დავალებით ადგენს ადმინისტრაციის თანამშრომელი. დირექტორის გადაწყვეტილებით ვაკანტურ პოზიციაზე შეიძლება გამოცხადდეს საჯარო კონკურსი. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება დაწესებულების ვებ-გვერდზე, ბრძანების ხელმოწერისთანავე. განცხადებები (CV და სამოტივაციო წერილი (საჭიროებისამებრ)) მიიღება კანცელარიაში ან ელექტრონული ფოსტით. თანამშრომლის კანდიდატურის შერჩევას ახდენს დირექტორი, ან კომისია, რომელსაც ბრძანებით ქმნის დირექტორი, კანდიდატთაგან საუკეთესოს ამოსარჩევად შეიძლება გამოყენებულ იქნას გასაუბრების, წერილობითი ან ზეპირი ტესტირების მეთოდები ან სხვა შესაბამისი საშუალებები.

პროფესიული განათლების მასწავლებელის შერჩევა ხორციელდება როგორც პირდაპირი შერჩევის წესით, ასევე ღია კონკურსით კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, რომელიც ფორმდება შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის გზით. ამ შემთხვევაში მოქმედებს იგივე წესები, რაც დაწესებულების შინაგანაწესითაა განსაზღვრული.

ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დეტალურად განისაზღვრება საკონკურსო პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და კონკურსის გარმართვის ვადები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული სწავლების ხელმძღვანელის/კლინიკური პრაქტიკის ინსტრუქტორობის კანდიდატის წარდგენა ხდება იმ დაწესებულების მიერ, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება და სადაც სტუდენტები გადიან სასწავლო, საწარმოო ან/და კლინიკურ პრაქტიკას. პრაქტიკული სწავლების ხელმძღვანელი/კლინიკური პრაქტიკის ინსტრუქტორი უნდა იყოს ამ დაწესებულებებში დასაქმებული პირი და აკმაყოფილებდეს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად.
პროფესიული განათლების მასწავლებელის/პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მოთხოვნები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად.
კოლეჯის პერსონალთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ კოლეჯი ვებ-გვერდზე პერიოდულად აქვეყნებს ვაკანსიებსა და საკონკურსო პირობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

4.1.2.3 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“ არეგულირებს კოლეჯში დასაქმებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობა „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან და დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაცია თანხვედრაშია მის მიერ დადგენილ რეგულაციასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2.4 კოლეჯი ხელს უწყობს პერსონალის ჩართულობას და მონაწილეობას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში. კოლეჯის საქმიანობა აგებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი პერიოდული შეკრებების, მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის, მსჯელობისა და გუნდური თანამშრომლობის რეჟიმში მონაწილეობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, პროგრამის განახლება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, კოლეჯის ინფრასტრუქტურის და სასწავლო რესურსების განახლება და ა.შ.
კოლეჯის პერსონალთან შეხვედრითა და შესწავლილი დოკუმენტებით დადგინდა, რომ პერსონალის სხვადასხვა წარმომადგენლები გუნდურად არიან ჩართული სხვადასხვა აქტივობაში, სათანადო საჭიროების მიხედვით. ინტერვიუს პროცესში, ყველა მათგანი ხაზს უსვამდა გუნდურობას და თანამშრომლობითი, პოზიტიური გარემოს არსებობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 თებერვლის N07 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის შინაგანაწესით“;
3. პერსონალის პირადი საქმეებით;
4. კოლეჯის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.2.1.1 კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 28 სექტემბრის №35 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის შეფასების წესი“, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯში დასაქმებული თითოეული თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს გაზომვას. დოკუმენტი შემუშავებულია შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს შრომის შინაგანაწესისა და საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების იმ მუხლების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ პერსონალის მართვის პოლიტიკას, აღნიშნული ადგენს კოლეჯის პერსონალის შეფასების პრინციპებს, პროცედურებს, შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და ანგარიშგების წესებს. შეფასების მიზნებია პერსონალმა აღიქვას ის მოლოდინები, რაც მასთან მიმართებაში გააჩნია კოლეჯს, პროფესიული შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენა, თანამშრომლების საქმიანობის სისტემური მონიტორინგი, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებით განვითარება, შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა, დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. თანამშრომელთა სამუშაოს შეფასება ხორციელდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უშუალო კავშირშია სამუშაოს შესრულების ხარისხთან. შეფასების ინდიკატორებია პოზიციის შესაბამისი კომპეტენცია, შესრულებული სამუშაოს ხარისხი, შემოქმედებითი/კრეატიული მიდგომა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი, ერთდროულად სხვადასხვა საქმის შესრულების უნარი, დეტალებზე ორიენტირებულობა, სამუშაოს დროულად შესრულება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯში პერსონალის შეფასების მექანიზმი 2022 წლის 28 სექტემბრამდე არ ფუნქციონირებდა, შესაბამისად, პერსონალის შეფასება არ განხორციელებულა, თუმცა, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ერთ-ერთი მიმართულება პერსონალის საჭიროებების დადგენაა. ამ ჭრილში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პერსონალის კმაყოფილების და საჭიროებების კვლევას და მოიძიებს მიზნობრივ მონაცემებს, ესწრება მეცადინეობებს. მიზნობრივი მონაცემების ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს პერსონალის საჭიროებები და მათი კმაყოფილება. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ამუშავებს მიზნობრივ მონაცემებს, რომელიც მოპოვებულია: სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევით, სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო გეგმების და ანგარიშების მონიტორინგით, მასწავლებლების მიერ კალენდარული გეგმების წარმოების მონიტორინგით, სტუდენტის შეფასების სისტემის მონიტორინგით.

თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის/კომისიის შექმნას, კომისიის წევრთა შეხვედრებსა და მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას, სამუშაოების განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების პაკეტის მომზადებასა და განხილვასა და წარდგენას კოლეჯის დირექტორისათვის დასამტკიცებლად, დადგენილ ვადებში პერსონალის შეფასებას და შესაბამისი მტკიცებულებებით უზრუნველყოფას. აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 მეტწილად არის დაკმაყოფილებული, კოლეჯი არ ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, *თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის/კომისიის შექმნას, კომისიის წევრთა შეხვედრებსა და მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღონისძიებების დაგეგმვას, სამუშაოების განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების პაკეტის მომზადებასა და განხილვასა და წარდგენას კოლეჯის დირექტორისათვის დასამტკიცებლად, დადგენილ ვადებში პერსონალის შეფასებას და შესაბამისი მტკიცებულებებით უზრუნველყოფას, ხოლო აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლის, რომ ამ ვადაში შესაძლებელია პერსონალის შეფასების პროცედურების განხორციელება.

4.2.1.2 ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, პერსონალის გამოკითხვა პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენის მიზნით და შესაბამისი ტრენინგების დაგეგმვა განსაზღვრულია 2022 წლის დეკემბერსა და 2023 წლის მაის-ივნისის პერიოდში. გასული წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ არსებული კითხვარების ფარგლებში, რომელთა მიხედვით ხდება სხვადასხვა საჭიროებების გამოვლენა, პროფესიული განვითარების საჭიროებების კუთხით მუდმივად სამუშაოა ჩასატარებელი, თანამშრომლებს მიეწოდებათ ინფორმაცია არსებული ტრენინგების შესახებ და დაწესებულების მხრიდანაც მოხდა ადმინისტრაციის წევრთა ჩართვის უზრუნველყოფა სხვადასხვა გარე ტრენინგში, თუმცა შიდა კუთხით აღნიშნული აქტივობები დასახვეწია და საჭიროა უფრო მრავალფეროვანი სახე მიიღოს ტრენინგების რაოდენობამ. კვლევის საფუძველზე დაწესებულებას ერთწლიანი გეგმის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ასახული აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

4.2.1.3 კოლეჯის ერთწლიანი (2022-2023წ.) სამოქმედო გეგმით, კოლეჯის პერსონალის (მათ შორის პროფესიულინ განათლების მასწავლებლების) კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების გაუმჯობესება და რეალიზაცია წარმოადგენს კოლეჯის ერთ-ერთ აქტივობას. კოლეჯში ვიზიტის დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის გასული წლის ანგარიში, საიდანაც ირკვევა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის დაწესებულება პერიოდულად ატარებს შიდა ტრენინგებს, თუმცა, პროფესიული განვითარების საჭიროებების კუთხით მუდმივად ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. კვლევის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ერთწლიანი გეგმის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ასახული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2.1.4 პირის საშტატო ერთეულზე მიღების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კოლეჯის დირექტორი და ადმინისტრაციაში დასაქმებული პერსონალი კომპეტენციის ფარგლებში აცნობს ახალ თანამშრომელს კოლეჯში არსებულ რეგულაციებს, წარუდგენს კოლეჯის პერსონალს გასაცნობად, აცნობს კოლეჯის ინფრასტრუქტურს, კოლეჯის სპეციფიკასა და სამუშაო გარემოს.
ვიზიტის დროს, ექსპერტებთან გასაუბრებისას, კოლეჯში დასაქმებულმა ერთ-ერთმა ახალმა თანამშრომელმა დაადასტურა, რომ სამსახურის დაწყების საწყის ეტაპზე გააცნეს კოლეჯის მიზნები, ღირებულებები, ხედვა, შინაგანაწესი და კოლეჯში მოქმედი რეგულაციები, სამუშაო გარემო და მისი ფუნქცია-მოვალეობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

4.2.1.5 კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 28 სექტემბრის N35 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის შეფასების წესის“ თანახმად, პერსონალის განვითარების გეგმა წარმოადგენს შეფასების სისტემის განუყოფელ ნაწილს. პერსონალის შეფასების შემდეგ მნიშვნელოვანია შეჯამდეს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და განისაზღვროს განვითარების ის ასპექტები, რომელიც მნიშვნელოვანია სამუშაოს უკეთ შესრულებისათვის. განვითარების ასპექტებია ცოდნა, კომპეტენციები, უნარები.
კოლეჯის პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის ხელმძღვანელობა ღიაა პერსონალის ინიციატივების განსახილველად და წასახალისებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 თებერვლის N07 ბრძანებით დამტკიცებული „ შრომის შინაგანაწესით“;
2. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 28 სექტემბრის N35 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის შეფასების წესის“;
3. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ჩატარებული კვლევების ანგარიშით;
4. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 01 სექტომბრის N26 ბრძანებით დამტკიცებული შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს 2022-2023 წლების ერთ წლიანი სამოქმედო გეგმით;
6. პერსონალის პირადი საქმეებით;
7. კოლეჯის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;
8. კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.1. 1 შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოს“ იურიდიული მისამართია ქ. თბილისი წინანაურის ქ. №26, ხოლო ფაქტობრივად დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №142. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დგინდება, რომ 2017 წლის 17 თებერვლიდან 2023 წლის 01 აგვისტომდე კოლეჯს იჯარით აქვს აღებული 447.36 კვ.მ ფართი. შენობაში განთავსებულია შემდეგი სივრცეები: ფოიე, ბიბლიოთეკა, სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირებისთვის, პროფესიული მასწავლებლების სამუშაო სივრცე, ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტები. თეორიული სწავლებისთვის (A გარემო) განკუთვნილია 7 (შვიდი) აუდიტორია, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია 1 სასწავლო აუდიტორია (B გარემო) და 2 (ორი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი. კოლეჯის დერეფანში მოწყობილია დასასვენებელი სივცრე პროფესიული სტუდენტებისთვის. დერეფნის დასაწყისში არსებულ ფართზე მოწყობილი გარემო განკუთვნილია პროფესიული სტუდენტების სპორტული (საჭადრაკო დაფა) და შემოქმედებითი საქმიანობისთვის. კოლეჯში სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, ტექნიკით და მატერიალური რესურსებით.

შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელები, სველი წერტილები, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსით, პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდებით და სკამებით, დაფებით, კომპიუტერული ტექნიკით, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების დადასტურებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით, რაც ასევე დასტურდება, მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

5.1.1.2 კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“. აღნიშნული წესი არეგულირებს კოლეჯში მატერიალური რესურსების მართვისა და სარგებლობის მექანიზმებს, ასევე, ადგენს თანამშრომლების და პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსების გამოყენების უფლებებს და ვალდებულებებს. კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსების, კომპიუტერული ინფრასტრუქტურის დაცვასა და გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი არის დირექტორის მოადგილე. კოლეჯში ყოველწლიურად ტარდება მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია, რასაც ადასტურებს ინვენტარიზაციის ჟურნალი. ინვენტარიზაცია ხორციელდება დირექტორის მოადგილის მიერ ბუღალტერთან კოორდინაციით. კოლეჯის თანამშრომლებს, მოდულის განმახორციელებელ პირებს და პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის მატერიალური რესურსით, მათ შორის კომპიუტერული ინფრასტრუქტურით, ბიბლიოთეკით, ასევე უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების დროს ისარგებლონ მოსასვენებელი სივრცით. რესურსებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე, ხოლო კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები ვალდებულნი არიან პასუხისმგებლობის ქვეშ, მიზნობრივად გამოიყენონ გადაცემული მატერიალური რესურსი.

ყოველივე ზემოაღნიშული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, პერსონალის და პროფესიული სტუდენტების კვლევის შედეგების ანგარიშებით და ექპერტების მიერ ინტერვიურების შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

5.1.1.3 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების ტერიტორიაზე, შიდა და გარე სივრცეების დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ფუნქცია-მოვალეობები. კოლეჯში სისუფთავის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირია დამლაგებელი, რასაც ადასტურებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. კოლეჯის შესაბამის სივრცეებში განთავსებულია სადეზინფექციო ხსნარები, ხოლო სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით და აქვთ წყალმომარაგეობა, რაც დასტურდება ჰიგინური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაციით და ექსპერტების მიერ შენობის დათვალიერების შედეგებით. კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფით კმაყოფილები არიან როგორც ადმინისტრაციული პერსონალი და მოდულის განმახორციელებელი პირები, ასევე პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

5.1.1.4 დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართის დათვალიერებით დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები და ადმინისტრაციული სივრცეები თბება ელექტროღუმელებით, შესაბამისად, შენობაში არ არის ცენტრალური გათბობის სისტემა. შესაბამისად, სასწავლო აუდიტორიები და ადმინისტრაციული სამუშაო სივრცეები არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი აღნიშნულ საკითხზე მუშაობს და ერთ-ერთ ალტერნატივად ფართის ცვლილებაც განიხილება, *თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფისთვის მოწოდებული იქნა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის ადმინისტრაციის შეკრებას სამომავლო აქტივობების დასაგეგმად, შენობის მესაკუთრესთან შეხვედრებსა და საკითხის დაყენებას, შენობის დათვალიერებას სპეციალისტების მიერ, პროექტის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ხარჯთაღრიცხვის შედგენას, საჭირო მასალების შეძენას, სისტემის დასაყენებელი სამუშაოების ჩატარებას (სასწავლო პროცესის დაწყებამდე და დასრულების შემდგომ საათებში), გათბობის სისტემის დამონტაჟებასა და გამართულად ფუნქციონირების შემოწმებას, სპეციალისტების მიერ დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემის ჩაბარებას კოლეჯის ადმინისტრაციისა და შენობის მესაკუთრეთა მიერ. აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 02 დეკემბერი. გარდა ამისა, კოჯის მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „სერვის გრუპთან“ 2022 წლის 08 ნოემბერს გაფორმებული მიწოდებისა და მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას, კოლეჯის შენობის ცენტრალური გათბობის სისიტემით უზრუნველყოფა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში მოახდინოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 მეტწილად არის დაკმაყოფილებული. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. *თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპოდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფისთვის მოწოდებული იქნა შპს „სერვის გრუპთან“ 2022 წლის 08 ნოემბერს გაფორმებული მიწოდებისა და მომსახურების ხელშეკრულება და ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის ადმინისტრაციის შეკრებას სამომავლო აქტივობების დასაგეგმად, შენობის მესაკუთრესთან შეხვედრებსა და საკითხის დაყენებას, შენობის დათვალიერებას სპეციალისტების მიერ, პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შედგენას, საჭირო მასალების შეძენას, სისტემის დასაყენებელი სამუშაოების ჩატარებას (სასწავლო პროცესის დაწყებამდე და დასრულების შემდგომ საათებში), გათბობის სისტემის დამონტაჟებასა და გამართულად ფუნქციონირების შემოწმებას, სპეციალისტების მიერ დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემის ჩაბარებას კოლეჯის ადმინისტრაციისა და შენობის მესაკუთრეთა მიერ, ხოლო აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 02 დეკემბერი, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლის, რომ ამ ვადაში შესაძლებელია დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება.*

5.1.1.5 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის №87 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების მექანიზმები“. დაწესებულება დიდ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა და სტუდენტთა უსაფრთხოებას. იგი მოწოდებულია უზრუნველყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხო სამუშაო გარემო ყველა თანამშრომლისათვის/სტუდენტისათვის, რის საფუძველზეც შეიმუშავა აღნიშნული მექანიზმები უბედური შემთხვევების პრევენციისათვის, რათა მოხდეს ადმინისტრაციის და თანამშრომელთა/სტუდენტთა ჩართულობა სამუშაო/სასწავლო პროცესის დროს მოსალოდნელი საფრთხეების აღმოფხვრის მიზნით. თანამშრომლები/სტუდენტები ვალდებულნი არიან შეასრულონ კოლეჯის უსაფრთხოების დაცვის წესების ყველა მოთხოვნა და თავიანთი აქტიურობით ხელი შეუწყონ კოლეჯში შრომისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის პროცესს. ხელმძღვანელი რგოლი პასუხს აგებს თანამშრომელთა/სტუდენტთა უსაფრთხოებაზე და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ვალდებულნი არიან შეამოწმონ, შეაფასონ სამუშაო ადგილის უსაფრთხოება, დააკვირდნენ თანამშრომელთა/სტუდენტთა უსაფრთხო ქმედებებს და დაუყოვნებლივ განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები არსებული ან მოსალოდნელი საფრთხეების აღმოსაფხვრელად. დაწესებულება უზრუნველყოფს თანამშრომელთათვის/სტუდენტთათვის საჭიროების შემთხვევაში საწყისი და მიმდინარე ტრენინგების ჩატარებას, შეიმუშავებს საფრთხის იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის სისტემას, დისციპლინირებულ პოლიტიკას, რათა მკაცრად იქნეს დაცული დაწესებულების უსაფრთხოების პოლიტიკა. პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ კოლეჯის ადმინისტრაციამ სტუდენტებს გააცნო უსაფრთხოების წესები და პერიოდულად ტარდება შეხვედრები. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრებით), თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. კოლეჯის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯის სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯს ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რასაც ადასტურებს პირის პირად საქმეში განთავსებული დოკუმენტაცია. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობებია: კოლეჯში მომუშავე პირების და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რისკების გამოვლენა და შეფასება, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის პერიოდული კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება დასტურდება შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგებითაც. გარდა ამისა, კოლეჯში დასაქმებული პირია კომენდანტი, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯის ტერიტორიაზე სსსმ და შშმ პირების შეუფერხებლად გადაადგილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.6 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომელიც ადგენს პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფისა და მათ შენახვა-გამოყენების წესებს. კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვაზე პასუხისმგებლი პირია დირექტორის მოადგილე, რომელიც დირექტორთან შეთანხმებით და ბუღალტერთან კოორდინაციით უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურის განხორციელებას. მოდულის ფარგლებში პროფესიული მასწავლებლისათვის გადაცემული მასალა-ნედლეული აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში. პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი კომპონენტის დასრულების შემდეგ ხდება გახარჯული მასალის ანგარიშგება, რასაც ადასტურებს კოლეჯის ბუღალტერის მიერ ექსპერტებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტები, კერძოდ, მასალა-ნედლლეულის შესყიდვის ზედნადებები და გახარჯული მასალის აღრიცხვის ჟურნალი. კოლეჯის მიერ დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების/პროდუქტების შენახვისა და განკარგვის წესები. კოლეჯის მიერ დადგენილია სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების, მათ შორის ტექნოლოგიური ნარჩენების, მალფუჭებადი პროდუქტის განკარგვისა და უტილიზაციის წესები. სასწავლო პროცესის მსვლელობისას ნარჩენების შეგროვებასა და უტილიზაციაზე პასუხისმგებელი პირი არის მოდულის განმახორციელებელი პირი. ასევე, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შემსრულებელი კომპანია ვალდებულია მოახდინოს კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული სახიფათო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია კვირაში არანაკლებ 2-ჯერ. ხელშეკრულება მოქმედებს 2023 წლის 11 იანვრის ჩათვლით. კოლეჯში სასწავლო პროცესი საჭირო მასალებითა და ნედლულით შეუფერხებლად არის უზრუნველყოფილი და დანერგილი სისტემა ეფექტურად მოქმედებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

5.1.1.7 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და ხარისხის განვითარების მექანიზმებს. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი შედგება ციკლისგან: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გადახედვა/გაუმჯობესება. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის სასწავლო პროცესის დაგეგმვის/განხორციელების პროცესისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი დგინდება განსახორციელებელი პროგრამების საჭიროებების შესაბამისად. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი (აუდიტორიების აღჭურვილობა, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი და სხვ.) და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (შევსებაგანახლება, სასწავლო კურსების სილაბუსებში/მოდულებში მითითებულ ლიტერატურასთან შესაბამისობა), კომპიუტერული ტექნიკა (არსებობა, გამართული მუშაობა, განახლების საჭიროება, ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის და სხვ.), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი, შიდა ქსელი, სათანადო კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვა და სხვ.), ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის მონიტორინგის კოორდინაციას დირექტორის მოადგილესთან ერთად. შედეგების ანალიზი დასკვნის სახით ეცნობება დირექტორს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს კითხვარებს და კოლეჯის შესაბამის პერსონალთან ერთად ატარებს კვლევებს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების არსებობის, საკმარისობის და რელევანტურობის დადგენის მიზნით. ხარისხის მენეჯერის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე გაიცემა რეკომენდაციები და საჭიროების შემთხვევაში ხდება ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმაში ან წლიურ სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობის გაწერა, რასაც ადასტურებს ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშები და 2022-2023 წლების 1 წლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №26 ბრძანებით). ექპერტების მიერ პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯში არსებულ რესურსებს და ინფრასტრუქტურას დადებითად აფასებენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯში ხორციელდება რესურსების რეგულარული შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შეფასების შედეგებს კოლეჯის მხრიდან მოსდევს ადეკვატური რეაგირება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

5.1.1.8 კოლეჯის შენობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მარაგდება წყლით და აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება და ვენტილაცია. სველი წერტილები აღჭურვილია ხელსაბანებითა და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. შენობაში შშმ პირთათვის არის ადაპტირებული სანიტარული კვანძი. კოლეჯში სანიტარული კვანძები მოწესრიგებულია და დაცულია ჰიგიენური ნორმები, რასაც ადასტურებს ჰიგიენური დაცვის საშუალებების შესყიდვის დოკუმენტები, ვიზუალური დათვალიერების შედეგები და პროფესიული სტუდენტების/პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია. დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

5.1.1.9 ექსპერტების მიერ კოლეჯის სასწავლო ფართებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერებით დადგინდა, რომ ბიბილიოთეკას ცალკე გამოყოფილი სამკითხველო დარბაზი არ აქვს, თუმცა მის სივრცეში მკითხველისთვის განთავსებულია რამდენიმე სამუშაო მაგიდა, სკამი. ბიბილიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერითა და კომბინირებული პრინტერით ასლგადამღებთან ერთად. კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობის სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებსა და ბიბლიოთეკაში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლის და მუშაობის შესაბამის, უსაფრთხო პირობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია. დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

5.1.1.10 კოლეჯის შენობა მოიცავს თეორიული სწავლებისა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებს, სამუშაო სივრცეს პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, დასასვენებელ სივრცეს, სანიტარულ კვანძებს, ბიბლიოთეკას, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამის კაბინეტებს, სახელოსნოებს, სივრცეს არქივისთვის, მათი განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

5.1.1.11 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომელშიც გაწერილია საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და საბიბლიოთეკო რესურსებით პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები. კოლეჯში საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს ბიბლიოთეკარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტით განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, რეგისტრაციის წესები, მკითხველის ვალდებულებები საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო სასწავლო რესურსი დამუშავებულია კოლეჯის საქმისწარომების წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისი ასევე მოიცავს ქსერო ასლის გადაღებას და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობას.

საგანმანათლებლო რესურსები არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით. პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯის ვებგვერდის საშუალებით წვდომა აქვთ კოლეჯის ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზებულია, საჭირო რესურსის მოძიება შესაძლებელია ეფექტურად და ამ რესურსებზე წვდომა შეუზღუდავადაა შესაძლებელი დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. უძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტაციით (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
2. შიდა აზომვითი ნახაზით;
3. სივრცეების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით;
4. მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაციით;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესით“;
6. კოლეჯის პერსონალის და პროფესიული სტუდენტების კვლევის შედეგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. კოლჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;
8. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმით;
9. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის №87 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის უსაფრთხოების მექანიზმებით“;
10. მასალების და ნედლეულის შესყიდვისა და გახარჯვის მტკიცებულებებით;
11. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №26 ბრძანებით დამტკიცებული „1 წლიანი სამოქმედო გეგმით;
12. ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაციით;
13. მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის დოკუმენტაციით;
14. კოლეჯის ვებგვერდზე ელექტრონული რესურსის ბმულით;
15. კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგებით;
16. დათვალიერების შედეგებით;
17. კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლ4049ო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.2.1 კოლეჯმა წარმოადგინა შპს „შენობა-ნაგებობათა სეისმური უსაფრთხოების ცენტრის“ მიერ მომზადებული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, რომლის თანახმადაც შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2022 წლის 10 ოქტომბრის №182 აქტი, რომელიც ეხება ქ.თბილისში წერეთლის გამზირი №142, მეორე სართულზე (ს/კ 01.13.04.017.037.01.528) მდებარე შპს „კოლეჯი მესამე სამედიცინოს“ (ს/კ 404935273) შენობას და ადგენს კოლეჯის შესაბამისობას კანონმდებლოთ დადგენილი სახანძრო უსაფრხთოების ნორმების დაცვასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1. დაკმაყოფილებულია. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

5.1.2.2 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 5 ივნისის №32 ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, რომელიც ადგენს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესებსა და პასუხისმგებელ პირებს. კოლეჯში არის ექთანი, რომლის ფუნქია-მოვალეობებში შედის კოლეჯის პერსონალის და სტუდენტებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების უსასყიდლოდ აღმოჩენა, კონსულტირება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა. ექთანი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112-ზე დარეკვით. კოლეჯში არსებობს პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის გაკუთვნილი სივრცე, სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ექთნის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. კოლეჯში ხელმისაწვდომია კვალიფიციური პირველადი გადაუდებელი დახმარება, რასაც ადასტურებს, კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2. დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

5.1.2.3 კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 05 ოქტომბრის № 39 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და განაწილებულია ფუნქციები წევრებს შორის. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რასაც ადასტურებს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი. კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების გზით დგინდება, რომ კოლეჯში პერიოდულად ხორციელდება სწავლება/ინსტრუქტაჟი (სიმულაციური ევაკუაცია) საგანგებო სიტუაციების ეფექტური მართვისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3. დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

5.1.2.4 კოლეჯი საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი კამერები, ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. იმ სივრცეებში, სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნებიც. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომლითაც განსაზღვრულია უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხსიმგებელი პირი-კომენდანტი. კომენდანტი უზრუნველყოფს ვიდეოკონტროლის სისტემის მუშაობის მონიტორინგს, აკონტროლებს დამლაგებლის საქმიანობას, ამოწმებს საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობას, აკონტროლებს შენობაში პირთა მოძრაობას და ზრუნავს წესრიგის დაცვაზე. კოლეჯს აქვს წესრიგის დაცვის და უსაფრთო გარემოს უზრუნველსაყოფად მექანიზმები, რომელიც ეფექტურად ფუნქციონირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4. დაკმაყოფილებულია. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „შენობა-ნაგებობათა სეისმური უსაფრთხოების ცენტრის“ მიერ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ მომზადებული დასკვნით;
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2022 წლის 10 ოქტომბრის №182 აქტით;
3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 5 ივნისის №32 ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით“;
4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 5 ოქტომბრის № 39 ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით;
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილით საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე;
6. წესრიგის დაცვის უზრუნველმყოფი რეგულაციებით და პასუხისმგებელი პირის პირადი საქმით;
7. ვიზუალური დათვალიერების შედეგებით;
8. კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.1.1 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომლის მიხედვითაც კოლეჯში ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებას ახორციელებს IT მენეჯერი. IT მენეჯერი პასუხისმგებელია კოლეჯში კომპიუტერული ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე. კოლეჯს შემუშავებული აქვს აგრეთვე „IT ტექნოლოგიების მართვის წესი“ - დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 31 მაისის №14 ბრძანებით. აღნიშნული წესი ადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს და პოლიტიკას. კოლეჯში დასაქმებული პერსონალის და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული მუშაობის შეუფერხებლად წარმართვას. კოლეჯი უზრუნველყოფილია როგორც კაბელიანი, ისე უკაბელო ინტერნტ მომსახურებით, რასაც ადასტურებს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილზე მონახულების შედეგები. ვიზიტის ფარგლებში დაგინდა, რომ კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1. დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

5.2.1.2 კოლეჯში განსაზღვრულია საინფორმაციო ტექნოლოგიების შეფასების და IT რისკების მართვის პოლიტიკა. IT რისკების მართვის პროცედურა გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას, მოსალოდნელ შედეგებს და პრევენციის გზებს. კოლეჯში IT რისკების მართვის პროცედურას ახორციელებს IT მენეჯერი. IT მენეჯერი კოლეჯის დირექტორის და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის კოორდინაციით ახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასებას. სასწავლო პროცესის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ IT მენეჯერი ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მდოგმარეობის შეფასებას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორის მოადგილეს. ხოლო სხვა შემთხვევაში, საჭიროების დადგომისთანავე მყისიერად ხდება გამოვლენილ ხარვეზზე რეაგირება. შესაბამისად, კოლეჯში არსებობს პირი, რომელიც პასუხისმგებელია IT უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, დაწესებულებას გააზრებული აქვს IT რისკები და ადეკვატურად რეაგირებს ამ რისკების თავიდან აცილებაზე. ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, ვერ მოხერხდა კოლეჯის IT მენეჯერთან გასაუბრება, თუმცა, პროფესიულ სტუდენტებსა და კოლეჯის პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის IT ტექნოლოგიაზე პასუხისმგებელი პირი სისტემატურად ახორციელებს ინტერნეტ-რესურსებისა და კომპიუტერული აღჭურვილობის შემოწმებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2. დაკმაყოფილებულია. დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

5.2.1.3 კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 4 ივლისის №19 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“. პერსონალური მონაცემები კოლეჯის მიერ მუშავდება „პერსონალურ მონაცმეთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილ შემთხვევებში. კოლეჯის მიერ შესაძლოა დამუშავდეს ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების პერსონალური მონაცემები. პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს საკუთარი საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებში. პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე კოლეჯი ვალდებულია მოიპოვოს სუბიექტის თანხმობა, თანხმობის ფაქტი დასტურდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერით და წერილობითი ფორმით. ექპერტთა მიერ პერსონალის პირადი საქმის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩანაწერს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და პირად საქმეებში განთავსებულია წერილობითი თანხმობები. პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე კოლეჯი პროფესიული სტუდენტისგან თანხმობას მოიპოვებს წერილობითი სახით. წერილობითი თანხმობა ინახება თითოეული პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში, რასაც ადასტურებს პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე და პროფესიული სტუდენტების ინტერვიურების შედეგები. შესაბამისად, კოლეჯში არსებობს სტრუქტურული ერთეული/პირი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე და კოლეჯის საქმიანობაში დაცულია პერსონალური მონაცემები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

5.2.1.4 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომელიც ადგენს ხარისხის განვითარების მექანიზმებს. ხარისხის შეფასების ციკლი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ შესაბამისი კვლევების ჩატარებას, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის მდგომარეობის შესაფასებელ კვლევას. კოლეჯში ვიზიტის დროს პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების და დათვალიერების შედეგმა აჩვენა, რომ კოლეჯის B გარემოში არსებული პერსონალური კომპიუტერები შეცვალეს ახალი ნოუთბუქებით. გარდა ამისა, ექსპერტებთან ინტერივურების პროცესში პროფესიულმა სტუდენტებმა და პერსონალმა კმაყოფილება გამოხატეს კოლეჯის IT რესურსების მიმართ. შესაბამისად, კოლეჯში ხორციელდება IT სისტემის რეგულარული შეფასება და შეფასების შედეგებს მოსდევს ადეკვატური რეაგირება კოლეჯის ხელმძღვანელობის მხრიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5.2.1.5 კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“, რომელიც ადგენს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას კოლეჯის პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის. კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის შეუზღუდავად. კოლეჯში ინფორმაციის ტექნოლოგიების გამართულობასა და ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელია IT მენეჯერი. ბიბლიოთეკა, ქსეროქსი ხელმისაწვდომია შინაგანაწესით დადგენილ სამუშაო საათებში. კოლეჯში უზრუნველყოფილია ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათ შორის უკაბელო ინტერნეტით (Wi-Fi). კოლეჯის პერსონალის და პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგადაც. შესაბამისად, სტუდენტებისა და პერსონალისათვის სასწავლო და სამუშაო პროცესის მიზნებისათვის, მუდმივად (დადგენილი წესით) ხელმისაწვდომია კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. ასევე, კოლეჯის რეგულაციით განსაზღვრულია ინფორმაციის ტექნოლოგიების გამართულობასა და მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

5.2.1.6 კოლეჯში პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებისთვის ფუნქციონირებს ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმები. კომუნიკაციის მიზნით, კოლეჯში ამოქმედებულია ელფოსტის მისამართი. კორპორატიული ელფოსტის მეშვეობით დაწესებულება ახდენს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან, თუმცა ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯის პერსონალთან კომუნიკაციის მიზნით, სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფი "კოლეჯი მესამე სამედიცინო" ურჩევნიათ და ნაკლებად სარგებლობენ კორპორატიული მეილებით. ასევე, კოლეჯში ფუნქციონირებს ისეთი ელექტორნული სერვისები როგორებიცაა: დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა („eflow"), სოციალური გვერდი და კოლეჯის ვებგვერდი. შესაბამისად, კოლეჯს გააჩნია და იყენებს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმს/სისტემას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;
2. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 31 მაისის №14 ბრძანებით დამტკიცებული „ IT ტექნოლოგიების მართვის წესით“;
3. ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 4 ივლისის №19 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებით“;
5. კოლეჯის პერსონალის და პროფესიულის სტუდენტების პირადი საქმით;
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესით“;
7. დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით/ხელშეკრულებით;
8. პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგებით;
9. დათვალიერების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.2.1 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 მარტის №16 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების ინსტრუქცია“. საქმისწარმოების ინსტრუქციის ძირითადი მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება. კოლეჯში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია ადგენს კოლეჯში დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობებს, დოკუმენტებზე მუშაობის წესს, ბრძანებების, ხელშეკრულებების, მემორანდუმების, ოქმების, აქტების, განცხადებების, წერილების, შემოსული და გასული კორესპონდენციის მომზადების წესებს. საქმისწარმოების ინსტრუქციით განსაზღვრული მუშაობის წესის დაცვა სავალდებულოა კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის/პირისთვის. კოლეჯს საქმისწარმოების ინსტრუქციით ასევე განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტების მიერ შექმნილი მტკიცებულებების აღრიცხვა, შენახვა და განკარგვის, მათ შორის დაარქივების და განადგურების წესები. ექპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც არის დანომრილი, ზონარგაყრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“, რომელიც ადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის წესებს. კოლეჯის თანამშრომლები ვალდებული არიან, საჯარო განცხადებები და ინფორმაცია შეათანხმონ შესაბამის სამსახურთან, ვის კომპეტენციასაც განეკუთვნება კონკრეტული საკითხი.
კოლეჯში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესი შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და თანხვედრაშია საქმისწარმოების ერთიან ინსტრუქციასთან, ხოლო დოკუმენტების სანდოობა და მთლიანობა არის დაცული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

5.2.2.2 კოლეჯი მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს როგორიც არის: ვებგვერდი, სოციალური გვერდი, სატელეფონო კავშირი. კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემა “eflow”-ს საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯში შემოსული, შესრულებული და შექმნილი დოკუმენტების ელექტრონულ მოძრაობას, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა სახის კორესპონდენცია იგზავნება და მიიღება ელექტრონულად. ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა ელექტრონული სისტემა “eflow”-ს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენების პრაქტიკა. შესაბამისად, კოლეჯში საქმისწარმოების მიზნით გამოიყენება ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სანდო აღრიცხვიანობას და რეგისტრაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია. დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

5.2.2.3 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირი არის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა ექსპერტებისთვის ბაზაში შეტანილი ინფორმაციის ჩვენება, გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხები კანონმდებლობით დადგენილი წესსა და ვადებთან მიმართებით, რისი გადამოწმების შედეგებიც დამაკმაყოფილებელია. შესაბამისად, ექსპერტების მიერ დადასტურებულია, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. კოლეჯში არსებობს პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე და პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

5.2.2.4 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 მარტის №16 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების ინსტრუქცია“, განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. დოკუმენტებზე რეაგირებისა და შესრულების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს. კოლეჯში დოკუმენტების შესრულებასა და დროულ რეაგირებაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ინფორმაციის დროულ მიწოდებას და გავრცელებას საკუთარი საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებში. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მიღებული/გაგზავნილი ბოლო კორესპონდენცია, რომლის შედეგებიც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა უწყებებთან სწორი და დროული კომუნიკაციის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 მარტის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ინსტრუქციით“;
2. მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციით;
3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესით“;
4. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის ფლობის/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტით;
5. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პერსონალის ფუნქციებით;
6. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით (შერჩევითად).

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**

5.2.3.1 კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“, რომელიც ადგენს ინფორმაციის გავრცელების პირობებს და მექანიზმებს. კოლეჯს აქვს ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქის სოციალური ქსელის გვერდი, ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია. სოციალური ქსელი იძლევა კოლეჯთან ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებას. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა სახის პოსტები, ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, ინფორმაცია მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. სოციალური ქსელის დათვალიერების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ კოლეჯი არის ჩართული სხვადასხვა ტრენინგებსა და შეხვედრებში. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრუქტურის, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მომხმარებლებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განთავსებულია ახალი ამბები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, დაწესებულების შინაგანაწესი, წესდება, სტრატეგიული გეგმა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და იურიდიული დოკუმენტები, ინფორმაცია ადმინისტრაციულ და პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე. შესაბამისად, კოლეჯის ვებ და სოციალური ქსელის გვედრები აქტიურად არის გამოყენებული, ვებგვერდზე ნავიგაცია მარტივია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მთავარ გვერდზეა ხელმისაწვდომი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია. დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

5.2.3.2 კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. კოლეჯის მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. შესაბამისად, კოლეჯს აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

5.2.3.3 კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმებს, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. კოლეჯის თანამშრომლები შიდა და გარე კომუნიკაციას ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებში, სხვა შემთხვევაში, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირია ოფისის მენეჯერი, რომლის ძირითადი ფუნქცია მოვალეობაა ვიზიტორების მიღება, შეხვედრების და ღონისძიებების ორგანიზება. ხოლო, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის და საჭიროების შემთხვევაში, გადამისამრთების პრეროგატივა აქვს სასწავლო პროცესის მენეჯერს. სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელია IT მენეჯერი, რომელსაც სათანადო ინფორმაციას აწვდიან სტუქტურული ერთეულები. კოლეჯი ვებგვერდისა და ოფიციალური FACEBOOK

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გვერდის საშუალებით, ავრცელებს სანდო და უტყუარ ინფორმაციას. ვებგერდზე განთავსებულია კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობა, ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს მოპოვებული,

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

5.2.3.4 კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მოცულობისა და ხანგრძლივობის შესახებ. ასევე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პროგრამის ხელძღვანელისა და პარტნიორი ორგანიზაციების /პრაქტიკის ობიექტების შესახებ. კოლეჯის კატალოგს დაწესებულებისთვის სარეკლამო სახის დანიშნულება აქვს და დაინტერესებულ პირს აწვდის მნიშვნელოვან მესიჯებს იმაზე თუ რას წარმოდგენს, რა რის მისი მიზანი, რა არის მისი ძირითადი ფასეულობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5.2.3.5 კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რასაც ადასტურებს კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე წლების მიხედვით განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

5.2.3.6 კოლეჯის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, ოფიციალური სოციალური ქსელიდან, ელექტრონული ფორმის ტიპის გამოკითხვებიდან, ელექტრონული მეილებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება. ხოლო ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის ანალიზის შედეგები კოლეჯის მიერ გამოიყენება საქმიანობის შეფასების/თვითშეფასების და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ კოლეჯში პანდემიამდე არსებობდა "ანონიმური ყუთის" პრაქტიკა და კვლავაც გეგმავენ "ანონიმური ყუთის" სერვისის ამოქმედებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად..

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესით";
2. ვებგვერდითა და სოციალური ქსელის გვერდით;
3. დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულებთ;
4. ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგით;
5. პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგით;
6. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.3.1.1 კოლეჯის შემოსავლების ძირითადი წყაროა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ვაუჩერული დაფინანსება. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის სტრატეგიული და 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისთვის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის და ამ ხარჯების კოლეჯის ბიუჯეტში გათვალისწინების საკითხი.
კოლეჯის 1 წლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული წლიური სამოქმედო გეგმების ანგარიშებით. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის №55 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად, სტრატეგიული გეგმის გადახედვა 3-4 წელიწადში ერთხელ, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გადახედვა - წელიწადში ორჯერ ხდება, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია არაგეგმიური გადახედვაც, რაც კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც დადასტურდა. შესაბამისად, 2022-2023 წელს იგეგმება სტრატეგიული მიზნების გადახედვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

5.3.1.2 კოლეჯის ბუღალტერის მიერ წარმოდგენილ იქნა ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები წლების მიხედვით განხორციელებული საოპერაციო ხარჯების შესახებ, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური დოკუმენტები, საგადასახდო დავალებები, ზედნადებები და სხვა, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯში უზრუნველყოფილია მისი ნორმალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსება კოლეჯის პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია.საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

5.3.1.3 კოლეჯში არსებობს ფინანსური მდგრადობის პერიოდული შეფასების პრაქტიკა. კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს, რომელსაც განათავსებს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე, რაც გადამოწმებულ იქნა ექსპერტების მიერ ვიზიტის დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

5.3.1.4 კოლეჯის ბუღალტერი ყოველწლიურად ადგენს დაწესებულების ბიუჯეტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. მოცემული ანალიზის შესაბამისად ხორციელდება მომდევნო წლის ბიუჯეტების შემუშავება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ბუღალტერს, რომელმაც დეტალურად აღწერა კოლეჯის საფინანსო პოლიტიკის განხორციელების მიდგომები და აღნიშნა, რომ კოლეჯი გეგმავს შემოსავლების წყაროს გამრავალფეროვნებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის საპროგნოზო ბიუჯეტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის ვებგვერდით -https://medicalschool-3.edu.ge;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებით;
4. ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშებით;
5. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის №55 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით";
6. პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუირების შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების რეკვიზიტები: N20, 20.04.2019 ცვლილების რეკვიზიტები: N34, 14.04.2019 N7, 20.02.2020 N25, 01.08.2020 N7, 15.02.2021 N36, 24.07.2021 N50, 14.09.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N142

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	80 პროფესიული სტუდენტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		**შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		**შეესაბამება**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		**შეესაბამება**
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		**შეესაბამება**

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის N67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების, დამტკიცების, გადახედვა/გაუმჯობესების, მასში ცვლილების შეტანის წესსა და პროცედურებს. პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება შრომის ბაზრის/დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს, ან/და პროფესიულ სტუდენტთა/აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგებს, ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს, ან/და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ. კვლევის ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, სადაც დასაბუთებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავების/დანერგვის საჭიროება. *კოლეჯის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორი ქმნის პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფს, რომლის ერთ-ერთ წევრად ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერია განსაზღვრული. (აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით, დეტალური აღწერა იხილეთ 4.1.1.3 ინდიკატორის ფარგლებში) .
შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო დიდი ისტორიისა და გამოცდილების მქონე, ქ. თბილისის საბაზო მესამე სამედიცინო სასწავლებლის ტრადიციების გამგრძელებელი დაწესებულებაა. წლების განმავლობაში მხოლოდ ეს სასწავლებელი ამზადებდა ფარმაცევტის თანაშემწეს და კბილის ტქნიკოსს. შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო დაარსებიდან ძირათადად ახორციელებდა ჯანდაცვის მიმართულების - ექთნის თანაშემწის, მასაჟისტის და კბილის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტის მიხედვით შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო საგნობრივ პროგრამებს, 2017 წლიდან კი დაიწყო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ექთნის თანაშემწის III საფეხურის, პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის და ფარმაცევტის თანაშემწის IV საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტის თანახმად, საქართველოს შრომის ბაზარზე საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ აქტუალობა დასტურდება რიგი კვლევებით, ერთ-ერთი მათგანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროფესიათა რეიტინგის კვლევა, სადაც საექთნო საქმის პროფესიონალები მზარდი პროფესიების ჩამონათვალშია მითითებული. კვლევაში აღნიშნულია, რომ პროფესიული განათლების მხრივ, დაფიქსირდა პროფესიონალი ექთნების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება, რომ 2002 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, ექთნების რაოდენობა საქართველოში გაიზარდა, კერძოდ 2017 წლის მონაცემებით, პროფესიული განათლების მქონე ექთნების რაოდენობა საქართველოში შეადგენს 17 582 პირს. რაც მიუთითებს ექთნის პროფესიის მოთხოვნას შრომის ბაზარზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება 2019-2020 სასწავლო წლისათვის დაემატებინა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.1.1.2 „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია მესამე სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 აპრილის N22 ბრძანებით. პროგრამა შექმნილია „საექთნო განათლების/ Nursing“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რომლის თანახმად შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის N33 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ დოკუმენტით, რომელიც ეფუძნება ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ჩარიცხვის წესში შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირების ვადები არ იყო შესაბამისობაში მინისტრის ბრძანებასთან, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა და ცვლილება შეიტანა ჩარიცხვის წესში.

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, ჩარიცხვის პროცედურები და მათი არსებობა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში. დაწესებულებაში დაცულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.3 კოლეჯში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება A, B და C გარემოში არსებული ადგილების რაოდენობის, სათანადო აღჭურვილობისა და ცვლების გათვალისწინებით. თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილ სივრცეში სტუდენტების რაოდენობა სამეცადინო ოთახში გაიანგარიშება პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობის, კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარისა და აღჭურვილობის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, ანალოგიურად ხდება გაანგარიშება C სასწავლო გარემოს შემთხვევაშიც. B გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროგრამისათვის და გაანგარიშდება სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე - კომპიუტერების რაოდენობა კლასში უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ თითოეულმა პროფესულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება პერსონალურ კომპიუტერთან.
„საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილია ორი „A“ გარემო (აუდიტორია N3 და N 7), ერთი B გარემო (აუდიტორია N6), თითო აუდიტორიაში 20 პროფესიული სტუდენტის ადგილით, პრაქტიკული კომპონენტი კოლეჯს პროგრამის ფარგლებში სრულად გატანილი აქვს პარტნიორ კლინიკებში, რომლებიც სრულად უზრუნველყოფენ კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტების გამტარობას. შესაბამისად, ამ პროგრამისათვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 80 ადგილი ორ ცვლაში (40 ზღვრული ადგილი ერთ ცვლაში).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

2.1.1.4 კოლეჯის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აღნიშნული პრგორამის ფარგლებში C გარემო არ აქვს, რადგან პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი სრულადაა გატანილი პარტნიორ კლინიკებში (სს „ევექსის ჰოსპიტლები“ ივანე ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი, შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, ა (ა) იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“). პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.5 შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს მიერ შემუშავებული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს (9 კრედიტი), 5 საბაზო მეცნიერებების თეორიული სწავლების მოდულს (24 კრედიტი), 12 საექთნო საქმის თეორიული სწავლების მოდულს (45 კრედიტი), 3 სოციალური მეცნიერებების თეორიული სწავლების მოდულს (6 კრედიტი), 2 პრაქტიკული სწავლების პროფესიულ მოდულს (6 კრედიტი), 14 კლინიკური სწავლების პროფესიულ მოდულს (90 კრედიტი), სულ 180 კრედიტი. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.6 შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში ფუნქციონირებს დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომლის 7.3.4 მუხლის თანახმად, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულების „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 20 აპრილის N22 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

2.1.1.7 „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 მაისის №407/ი ბრძანებით დამტკიცებული საექთნო განათლება / Nursing ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, შესაბამისად, ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.8 კოლეჯის მიერ შემუშავებული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების მექანიზმები პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. აღსანიშნავია, რომ დასაქმების შესაძლებლობების კომპონენტში, „საექთნო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის“ მქონე პირის დასაქმების შესაძლებლობების ნაცვლად, მითითებული იყო „საექთნო საქმეში ასოცირებული ხარისხის“ მფლობელის დასაქმების შესახებ ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების წარმომადგენლებმა განუცხადეს, რომ ეს იყო ტექნიკური უზუსტობა, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე შეიტანა ცვლილება პროგრამაში და გაასწორა აღნიშნული ჩანაწერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამას დანართების სახით ახლავს: მოდულები, სასწავლო გეგმა, მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსი და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ ინფორმაცია, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.

სასწავლო გეგმას და მოდულებში დაცულია დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირტექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;
2. კოლეჯის დირტექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის N67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიით“;
3. „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგიით;
4. „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობით;
5. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 აპრილის N22 ბრძანებით დამტკიცებული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
6. პარტნიორ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
7. დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინერვიუს შედეგებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო სარგებლობის უფლებით ფლობს 447,36კვ.მ სიდიდის სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, აკ. წერეთლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამზირი N142. „საქთნო განათლების“ პროფესიულის აგანმანათლებლო პრგორამის ფარგლებში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 80 ადგილი ორ ცვლაში (40 ზღრვული ადგილი ერთ ცვლაში).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების სასწავლო გარემო შეადგენს:
- **A სასწავლო გარემო** - შერჩეულია ორი, №3და №7 აუდიტორია, სადაც განთავსებულია 40 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება 1 ცალი, დაფა 1 ცალი;
- **B სასწავლო გარემო** - შერჩეულია აუდიტორია №6 სადაც განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, 20 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება 1 ცალი, დაფა 1 ცალი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი (მეცადინეობა აღნიშნულ გარემოში ჩატარდება ორ ცვლაში);

- **კლინიკური პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებთან** - კოლეჯს გაფორმებული აქვს ვადიანი ხელშეკრულება სამედიცინო დაწესებულებებთან: -შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ. გაფორმების თარიღი: 22.04.2019) ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (ხელშ. გაფორმების თარიღი:01.01.2021), შპს „ ევექსის ჰოსპიტლები“ (ხელშ.გაფორმების თარიღი: 22.04.2019), რომელთაც შეუძლიათ კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების მომსახეურება („საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ ერთდროულად შეუძლიათ 80 პროფესიული სტუდენტის მიღება თვეში.
ყველა ხელშეკრულებას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი მოდულების მიხედვით. პროპგრამის თანაგანმახორციელებელი კლინიკები ადასტურებენ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას შესაბამის განყოფილებებში. შპს „ ევექსის ჰოსპიტლებში“ მიმდინარეობს შემდეგი მოდულები: „კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექრთნო მართვა“, „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა“, „კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა“, „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა“, „კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა“, „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა“, „კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები“, „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები“, „კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მართვა“, „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა“, „კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა“, „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა“. შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“ ხორციელდება „კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“, „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმთელობა და ფსიქიატრია“, *ხოლო* ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასში“ ხორციელდება „შინმოვლა“ და „ავადმყოფის მოვლა“. ექსპერტთა ჯგუფის მიერ კლინიკის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ წარმატებით თანამშრომლობენ კოლეჯთან და სრულად გააჩნიათ ამ მოდულების გავლისთვის საჭირო ინვეტარი და აღჭურვილობა, გარდა ამისა, კლინიკის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ 7 პროფესიულ სტუდენტს 1 განმახორციელებელი ინსტრუქტორი მოემსახურება. ექსპერტების მიერ გადამოწმდა კლინიკური სწავლების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. *უნდა აღინიშნოს, რომ „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დროს კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება კლინიკასთან შპს „M მედი 22“, რომელსაც გაუვიდა ხელშეკრულების ვადა, თუმცა, პროგრამის ძირითად დოკუმენტში აღნიშნული კლინიკა კვლავ მითითებულია.*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, *თუმცა გარდა შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრითან“, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასსა“ და შპს „ ევექსის ჰოსპიტლებთან“ გაფორმებული ვადიანი ხელშეკრულებებისა, „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დროს კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება კლინიკასთან შპს „M მედი 22“, რომელსაც გაუვიდა ხელშეკრულების ვადა, თუმცა, პროგრამის ძირითად დოკუმენტში აღნიშნული კლინიკა კვლავ მითითებულია,* ***რეკომენდებულია,*** *დაწესებულებამ პროგრამის ძირითადი დოკუმენტიდან ამოიღოს მითითებული კლინიკა. აღსანიშნავია, რომ დანარჩენი სამი კლინიკა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.*

2.2.1.2 „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 38 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე და კომპეტენციით აღჭურვილი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 6 ზოგად მოდულს, ხოლო 32 პროფესიულ მოდულს უძღვება. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია შრომის კოდექსით დადგენილი არსებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული განათლების მაასწავლწბლების დატვირთვის ცხრილი, და დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირების რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და/ან სამუშაო გამოცდილებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და შეფასდა პროფესიული განათლების მასწავლებელთავის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის პირადი საქმეების შესაბამისობის საკითხი.
უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალს გავლილი აქვს კოლეჯის მიერ ორგანიზებული შიდა ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში, თუმცა, დოკუმენტურად ამის დადასტურება ვერ მოხერხდა.
პერაონალის პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს უდასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, *პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯის მიერ ჩატარებულია ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში, აღნიშნული აქტივობა დოკუმენტებით ვერ დასტურდება, შესაბამისად,* ***რეკომენდებულია,*** *დაწესებულებამ მომავალში უზრუნველყოს მის მიერ ჩატარებული ტრენინგების ამსახველი აქტივობის მტკიცებულებებით გამყარება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.4 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“ ასევე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/მოქმედ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესში, პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად შეფასების ინსტრუმენტების და კალენდარული გეგმების შემუშავებაში, ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების ადაპტირებისა და მათი სტანდარტებთან შესაბამისობაზე, კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საქმიანობას, საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით ინფორმაციას აწვდის და კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, სხვა დაინტერესებულ პირებს. პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.
„საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთაგან ერთი ფლობს ექიმის, ხოლო მეორე - ექთნის კვალიფიკაციას, რომელიც ამავდროულად პრაქტიკის მენეჯერის პოზიციაზეცაა დასაქმებული. ორივე მათგანს აქვს მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელებთან გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება, სადაც დაკონკრეტებულია მათ მიერ შესასრულებელი სამუშაო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

2.2.1.5 „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზით. გარდა ამისა, კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული წიგნები და სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ სარგებლობა. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლებთან, რომლებიც ადასტურებენ, რომ პროფესიული სტუდენტისთვის კოლეჯში ხელმისაწვდომია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. *აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი ზოგიერთი მოდულის თემატიკა ითვალისწინებს ნორმატიული აქტების მასალას. დადგინდა, რომ დაწესებულებას არ აქვს ხელშეკრულება გაფორმებული საკანონმდებლო მაცნესთან. დაწესებულების განმარტებით, კონსოლიდირებული ნორმატიული აქტების მიწოდებას სტუდენტებისთვის, მოდულის განმანხორციელებელი მასწავლებელი უზრუნველყოფს.*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, *თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების განმარტებით, კონსოლიდირებული ნორმატიული აქტების მიწოდებას სტუდენტებისთვის, მოდულის განმანხორციელებელი მასწავლებელი უზრუნველყოფს,* ***რეკომენდებულია,*** *კოლეჯმა ხელშეკრულება გააფორმოს საკანონმდებლო მაცნესთან.*

2.2.1.6 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვალს N9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმები, რომელიც მოიცავს სსსმ პირების კომპონენტსაც. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმში გაწერილია გეგმის შედგენაში მონაწილე პირები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. *(აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით, დეტალური აღწერა იხილეთ 4.1.1.3 ინდიკატორის ფარგლებში). აღსანიშნავია, რომ კოლეჯში შემუშავებულია სსსმ პირებისათვის ადაპტირებული სასწავლო რესურსების გამოყენების მექანიზმები, თუმცა, აკლია დეტალიზაცია (მაგ., სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და ა.შ.),*
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ არ დამდგარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება. ამ ეტაპზე, კოლეჯში სსსმ პირი არ ირიცხება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, *თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯში ამ ეტაპზე სსსმ პირი არ ირიცხება და შემუშავებულია სსსმ პირებისათვის ადაპტირებული სასწავლო რესურსების გამოყენების მექანიზმები,* ***რეკომენდებულია,*** *დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს აღნიშნული მექანიზმი (მაგ., სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და ა.შ.),*

2.2.1.7 „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც აღწერილია კოლეჯის შემოსავლები და ხარჯები (მასწავლებლისა და ადმინისტრაციის ანაზღაურება, იჯარის გადასახადი, კომუნალური და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი). აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში რენტაბელობის ზღვარი კოლეჯს არასწორად ჰქონდა გაანგარიშებული, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია გაითვალისწინა და ბიუჯეტის დოკუმენტში შესაბამისი ცვლილება შეიტანა, შესაბამისად, რენტაბელობის ზღვარი 10 სტუდენტით განისაზღვრება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირტექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით;
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 აპრილის N22 ბრძანებით დამტკიცებული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
3. კოლეჯსა და სამედიცინო კლინიკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით;
4. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
5. კოლეჯის საპროგნოზო ბიუჯეტით;
6. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სამედიცინო კლინიკების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის N67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“ არეგულირებს დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების, განვითრებისა და მასში ცვლილებების შეტანის/გაუმჯობესების მექანიზმებსა და პროცედურებს, პროცესი ეფუძნება კოლეჯის ფარგლებში რეგულარულად მიმდინარე შიდა შეფასებას, რომელიც ხორციელდება საგანმანათლებლო სფეროში არსებული სტანდარტებისა და კოლეჯის მიერ შემუშავებული დოკუმენტების შესაბამისად. ასეთი ტიპის შეფასება არის ძირითადი საშუალება, რომელიც წარმოაჩენს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს. კოლეჯში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, მონიტორინგის შედეგები აისახება მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში, სადაც ფიქსირდება საგანმანათლებლო პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეები და განხორციელების გზები. ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის მენეჯერმა წარმოადგინა სათანადო ანგარიშები, სადაც გაცემულია კონკრეტული რეკომენდაციები. კოლეჯის წარმომადგენლებთან (მათ შორის პროგრამის განმახორციელებელ პირებთან) გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის განვითარების ფარგლებში პერიოდულად ხდება შეკრებები და პრობლემატური საკითხების განხილვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2.3.1.2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე შეიძლება, ესენია: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შესაბამისი ჩარჩოდოკუმენტში განხორციელებული ცვლილების და სხვა. პროგრამის ხელმძღვანელი ყოველწლიურად აკეთებს თვითშეფასების ანგარიშს, სადაც აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივ მდგომარეობას და აფიქსირებს პროგრამის შიდა და გარე შემფასებლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებს. *<u>აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციის პროცესს არ ითვალისწინებს.</u>*

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეისწავლის ჩატარებული სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შედეგებს, აგროვებს სათანადო მონაცემებს და საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის წინაშე წარადგენს ინიცირებას პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირტექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით;
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის N67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიით“;
3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 აპრილის N22 ბრძანებით დამტკიცებული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
4. კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ჩატარებული კვლევების ანგარიშებით;
5. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ჩვეულებისამებრ, ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამას ახლავს ორი სასწავლო გეგმა (ორი სასწავლო გეგმის შემუშავება განპირობებულია სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების ვადებთან დაკავშირებული ცვლილებით „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დებულებაში“, შესაბამისად, სხვადასხვა მიღების ჯგუფებზე სხვადასხვა სასწავლო გეგმები ვრცელდება, ორივე გეგმა დამტკიცებულია დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით), რომელიც აწყობილია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობით, მოდულზე დაშვების წინაპირობები დაცულია. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას.
კოლეჯის სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯრები სისტემატურად ახორციელებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს როგორც კოლეჯში, ისე სამედიცინო კლინიკებში.
სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯსა და ელ.ფოსტაზე მიწოდების გზით. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზეც.
ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი და გავლილი მოდულების შესახებ, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობა შესაბამისობაშია სასწავლო გეგმასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.4.1.2 კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანამათლებლო დაწესებულების მარეგულირებეული დებულება“ და კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის N67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს.
პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისა და მიღებული შეფასების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფსა და სხვა საკითხების შესახებ.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, კვალიფიკაციის, კრედიტის, ხანგრძლივობის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი მოიპოვებს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა თანხმობას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.
ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება, კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

2.4.1.3 „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი A და B სასწავლო გარემო, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას და სასწავლო გარემოს დათვალიერებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

2.4.1.4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე და ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს სწავლის შედეგებს, მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან, პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პირი, რომელიც დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე. კოლეჯს არ ჰქონია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ კოლეჯი მუდამ გამოხატავს მზაობას მათი საჭიროებების გათვალისწინებისა და დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

2.4.1.5 შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელების მიზნით, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის სამედიცინო შპს ,,ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ. გაფორმების თარიღი:10.04.2019), შპს „ევექსის ჰოსპიტლები“ (ხელშ.გაფორმების თარიღი: 7.10,2021), შპს ,,საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (ხელშ. გაფორმების თარიღი: 01.01.2021). ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს, გასაუბრებისას დადასტურდა, რომ კლინიკები წარმატებით თანამშრომლობენ კოლეჯთან, იაზრებენ ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არიან დაასაქმონ კურსდამთავრებულები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით.

2.4.1.6 დაწესებულება შრომის უსაფრთხოების საკითხებს განიხილავს კომპლექსურად, რისთვისაც უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო პირობებს, დასაქმებულთა სწავლებას შრომის უსაფრთხოების საკითხებში, შენობა-ნაგებობისა და საგანმანათლებლო პროცესების უსაფრთხოებას, აღჭურვილობის პერიოდულ შემოწმებას. კოლეჯის უსაფრთხოება ნორმის ფარგლებშია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირტექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის N67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიით“;
3. კოლეჯსა და პარტნიორ სამედიცინო კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
4. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“ არეგულირებს სტუდენტის შეფასების მექანიზმს. ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს, შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეადგინოს მოდულის განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა, კლინიკური პრაქტიკის განხორციელებისას, დაწესებულება ამტკიცებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის ფორმას.
შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება. შედგენილი შეფასების ინსტრუმენტი, ვალიდაციის მიზნით, შეფასების განხორციელებამდე არაუგვიანეს 15 სამუშაო დღით ადრე წარედგინება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს ვალიდაციის კუთხით. სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალდებულია განიხილოს შეფასების ინსტრუმენტის პროექტი და შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების კითხვარის მეშვეობით დაადასტუროს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობა ან რეკომენდაციებით და წინადადებებით დაუბრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებელს. სასწავლო პროცესის მენეჯერი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი დარგის სპეციალისტები და სხვა პროფესიული განათლების მასწავლებლები, რისთვისაც მოხსენებით ბარათს წარუდგენს დირექტორს, რომელიც განიხილავს და ბრძანებით ამტკიცებს ვალიდაციის ჯგუფს.
პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რეგულაციით გაწერილი შეფასების სისტემის მექანიზმი რეალურად ხორციელდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2.4.2.2 კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის „ვერიფიკაციის მექანიზმები“. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი (შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი). ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება ხდება სამი მიმართულებით: შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც მოიცავს რისკების სისტემის შესაბამისად შერჩეულ მოდულებს, ანაწილებს შიდა ვერიფიკატორებს და შეარჩევს თითოეული მოდულის შემთხვევაში დარგის სპეციალისტს. ვერიფიკაციის მექანიზმი ითვალისწინებს დასკვნის ფორმას, რომლის მიხედვითაც ხდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა წარმოადგინა კოლეჯში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მასალები (დირექტორის სახელზე წარდგენილი სამსახურებრივი ანგარიშები), სადაც აღწერილია ვერიფიკაციის შედეგები, მიგნებები და გამოწვევები.
ექსპერტების ჯგუფის მიერ შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გადამოწმდა კოლეჯის მიერ ვერიფიცირებული მოდულების დოკუმენტაცია. ხარისხის უზრუნველყოფის ნაგარიშები და ვერიფიკაციის დასკვნები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

2.4.2.3 კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“ განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს. შევსებული შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტები ინახება პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ. სამი წლის შემდეგ დირექტორის ბრძანებით დგება მტკიცებულებების განადგურების კომისია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან/პროგრამის ხელმძღვანელისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა და სხვა.
აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირტექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ვერიფიკაციის მექანიზმებით“;
3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 აპრილის N22 ბრძანებით დამტკიცებული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
4. კოლეჯსა და პარტნიორ სამედიცინო კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
5. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი თანახლავს დასკვნის პროექტს.

28.11.2022.წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: